# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 სექტემბერი 2008 №205 (3429) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## დღეს მაინც...

## ახლა ახალი, კუკ-ერა იწყება...

## დროა, ჩვენც ავფეთქდეთ!

# რუსებმა მინსკიც გადახნეს

## 0:4

ახალგაზრდულმა საზიზღარი ფეხბურთით თავიც და ქვეყანაც შეირცხვინა



ალექსანდრ პრუდნიკოვმა (№9) ქართველებს ორი გოლი გაუტანა

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# დღეს მაინცში ახალ იმედს ველით

**დღეს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიას გაეჯიბრება და ამით დაიწყებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს.

ჩვენები თავს კარგად გრძნობენ, მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი შეგირდებით კმაყოფილია და ეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე არც დაუმალავს.

კუპერის განკარგულებაში მყოფი ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და დღევანდელი მატჩისთვის ემზადება.

გუშინ ნაკრებმა ორჯერ ივარჯიშა და კუპერმა უმთავრესი ყურადღება, რა თქმა უნდა, ტაქტიკას და კომბინაციების დამუშავებას დაუთმო. მწვრთნელმა გუნდი ორად გაყო და სხვადასხვა ტაქტიკური სქემებით ათამაშა.

პრესკონფერენციაზე კი ექტორ რაულ კუპერმა განაცხადა, რომ მისთვის მისაღები შედეგი მხოლოდ მოგება იქნება...

„ამ თამაშის თბილისში ჩატარება თავისუფლად შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მოგების შანსიც მეტი გვექნებოდა. ჩვენ ვემორჩილებით ფიფას გადაწყვეტილებას, მაგრამ გერმანიაში თამაში გეგმებს არ გვიცვლის — გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს, ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ და მათი საქმისადმი მიდგომაც მომწონს. ხოლო ის, თუ როგორი იქნება ირლანდიასთან მატჩში საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, თამაშამდე გადავწყვეტ" — განაცხადა კუპერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ მატჩი დღეს მაინცში, ჩვენი დროით, 20 საათზე დაიწყება. პირდაპირ რეპორტაჟს კი საზოგადოებრივი მაუწყებელი გვთავაზობს.

**ქახა შალამბერიძე**



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა ინტერვიუ მისცა რუსულ „სოვეტსკი სპორტს". ჩვენც ამ ინტერვიუს სრულად გთავაზობთ...



# ჩემს ჭაღარას ნუ უყურებთ

## ექტორ რაულ კუპერი: მუნდიალი საკუთარ თავს თავად მოვთხოვე

— საფეხბურთო საზოაგდოება დიდი ხანია, ეჭვს გამოთქვამს, თითქოს საკუთარი შესაძლებლობები უკვე ამოწურეთ. „ვალენსიას" ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაყვანის შემდეგ, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ოთხი გუნდი გამოიცვალეთ, შედეგს კი სულ უფრო და უფრო აუარესებდით. საკუთარი ქმედითუნარიანობის დასამტკიცებლად საქართველოს ნაკრებში მუშაობა ბოლო ცდა ხომ არ არის?

— ქართველთა წინადადებაზე ჩემი თანხმობა განწირული ადამიანის, ან იმ მოხუცის ნაბიჯად არ უნდა ჩათვალოთ, რომელსაც სურს დაამტკიცოს, რომ მისი პენსიაზე გაშვება ნაადრევია. ჩემს ჭაღარას ნუ უყურებთ, ჯერ მხოლოდ 52 წლის ვარ და თან, ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მწვრთნელობას თავს მაშინ დავანებებ, როდესაც ვიგრძნობ, რომ ფიზიკური ძალა აღარ შემწევს. 2008 წლის გაზაფხულზე, როდესაც „პარმადან" დამითხოვეს, „გალათასარაისა" და ომანის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელობას მთავაზობდნენ. სიმართლე გითხრათ, სანაკრებო დონეზე მუშაობა ძალიან მსურდა, მაგრამ ომანელთა შემოთავაზებას მაინც არ დავეთანხმდი, რადგან ეს ქვეყანა ჩემთვის ზედმეტად ეგზოტიკურია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას კი უმალ დავთანხმდი.

— სამხრეთ ოსეთში მომხდარი ამბების შემდეგ, საქართველოში მუშაობის შეწყვეტაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— რას ამბობთ?! ეს გულშიც კი არ გამივლია. სპორტი პოლიტიკის გარეშე უნდა იყოს. თბილისში სულ ორჯერ ვარ ნამყოფი და რაც ვნახე, ძალიან მომეწონა.

— მორწმუნე ადამიანი ხართ?

— დიახ. ამას რატომ მეკითხებით?

— უბრალოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დაწყევლილი ხართ — ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდით, ერთხელ კი თასების თასის ფინალში. ასევე, თქვენმა გაწვრთნილმა „ინტერმა" იტალიის ჩემპიონატში ჯერ მესამე, ხოლო მომდევნო წელს მეორე ადგილი დაიკავა. მოკლედ, ტიტულის მოგებამდე მუდამ მცირედი გაკლდებათ. ამის გამო ზეციური ძალებისთვის დახმარება არ გითხოვიათ?

— თუ ღმერთს რამეს ვთხოვ, ეს ფეხბურთს არ ეხება, რადგან ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს. ფინალებზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ პირველ რიგში, თითოეულ მათგანში მოხვედრა იყო საჭირო. ჩემთვის ყველაზე საწყენი 2001 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „ბაიერნთან" მარცხია. ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მიუნხენელები ბუნდესლიგის ჩემპიონები გახდნენ. მაშინ გერმანიის ბოლო ტურში მოვლენები თითქმის წარმოუდგენელი სცენარით განვითარდა — „ბაიერნმა" ბოლო წამებზე გაუტანა „ჰამბურგს", ანგარიში გაათანაბრა და „შალკეს" ჩემპიონობა ხელიდან გამოგლიჯა. მილანში გამართულ ფინალში კი საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. ერთ ეპიზოდში გერმანელების თავკაც ოტმარ ჰიცფელდს გავხედე და გავიფიქრე, „მოხუცო, რამდენიმე დღის წინ შენ უკვე გაგიმართლა და ახლა ჩემი დროა. გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ იღბალმა უნდა გადმომხედოს"-თქო. ჩემდა სამწუხაროდ, ამჯერადაც ჰიცფელდს გაუმართლა...

— „ინტერში" გატარებულ პერიოდსა და მასიმო მორატისთან ურთიერთობაზე რას იტყვით?

— მორატისთვის ყველაფერი მარტივადაა — „ინტერი" პირველ ადგილზე თუ არ არის, ესე იგი, მწვრთნელი ცუდად მუშაობს. პირველ სეზონში გუნდი მესამე ადგილზე გავიყვანე, მომდევნოში კი მეორეზე, ხოლო მესამე სეზონში ექვსი ტურის შემდეგ დამითხოვეს, როდესაც სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზე ვიყავით.

**— 2005 წელს „ინტერიდან" კვლავ „მალიორკას" მიაშურეთ, ხოლო 2006 წლის თებერვალში, იქიდან წამოსვლის შემდეგ, რუსული კლუბებიც გეპატიჟებოდნენ...**

— კონკრეტული წინადადებებით ცსკა-მ და „მოსკვამ" მომმართეს. მაგრამ მაშინ სახლიდან შორს წასვლა არ მინდოდა და ამიტომ „ბეტისის" ვარიანტი ვარჩიე. შესაძლოა, რუსეთამდე კიდევ მივაღწიო, იქ ხომ ამჟამად ბევრი ამბიციური კლუბია.

**— 2007-08 წლების სეზონის შუაგულში „ბეტისიდან" დაგითხოვეს და იმ პერიოდში ბევრს ეგონა, რომ ფეხბურთიდან საერთოდ წახვიდოდით. თუმცა სულ მალე სათავეში „პარმას" ჩაუდექით, რომელიც სერია A-ში დარჩენისთვის იბრძოდა...**

— გუნდში ჩემპიონატის დასრულებამდე თერთმეტი ტურით ადრე მიმიწვიეს, როდესაც კარდინალურად რამის შეცვლა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო. დღესაც ვერ ვხვდები, „პარმას" პრეზიდენტმა რატომ გამათავისუფლა.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიზნად 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა დაგისახათ?**

— ჩემთვის ოფიციალურად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა არავის მოუთხოვია. თუმცა, საკუთარ თავს საქართველოს ნაკრებთან ერთად სამხრეთ აფრიკაში თამაში მე თვითონ დავუსახე.

— ეს რამდენად რეალურია?

— ჯგუფში აშკარა ფავორიტი იტალიაა, ხოლო ირლანდიასთან, ბულგარეთთან, კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან ტოლ-სწორად თამაში სრულიად შესაძლებელია.

— თქვენს გუნდში ევროპული მასშტაბის ორი ვარსკვლავი — კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი თამაშობს. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ნაკრებში მათი „ორეულები" ჩამოდიან, რომლებიც იმის მეათედსაც არ თამაშობენ, რასაც ნამდვილი კალაძე და კობიაშვილი „მილანსა" და „შალკეში". კალაძე გუნდის კაპიტნად დარჩება?

— ამ კითხვაზე პასუხს ჯერ ვერ გაგცემთ. მხოლოდ ერთი შემიძლია გითხრათ — ჩემს გუნდში კაპიტნის სამკლავურს ვერასოდეს გაიკეთებს ის ადამიანი, რომელიც ბოლომდე არ იხარჯება. ამიტომ, კალაძის თავდადებაში თუ ეჭვი შემეპარა, კაპიტნის სამკლავურს აუცილებლად სხვას გადავცემ.

— საქართველოს ნაკრებში მყოფ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე რა აზრის ხართ?

— ჩვენ რამდენიმე ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდა გვყავს. მათ რომ პროგრესი გააგრძელონ, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სათამაშო პრაქტიკა.

*კუპერისა და რუსი ჟურნალისტის ინტერვიუს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე ესწრებოდა, რომელმაც ნაკრებში არგენტინელის დანიშვნასთან დაკავშირებით „სოვეტსკი სპორტს" ეს უთხრა: „კუპერის დანიშვნასთან დაკავშირებით საქართველოში ბევრმა უკმაყოფილება გამოთქვა. ეს ხალხი თვლიდა, რომ არ უნდა მოგვეწვია მაღალი ხელფასის მქონე უცხოელი სპეციალისტი და ჯობდა, გუნდის თავკაცად ქართველი დაგვენიშნა. ჩვენი აზრით, იგივე თემურ ქეცბაია, რომელმაც კვიპროსის „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, ნაკრებისთვის კარგი მწვრთნელი რამდენიმე წლის შემდეგ იქნება, როდესაც მაღალ დონეზე გამოცდილებას მიიღებს და დარწმუნდება, რომ კვიპროსულ კლუბში უკვე ვეღარ მოუმატებს. რაც შეეხება შოთა არველაძეს, რომელიც „ალკმაარში" ლუის ვან გაალის ასისტენტია, შესაძლოა, იგი კუპერის სამწვრთნელო შტაბში შევიდეს, რადგან ესპანურად საკმაოდ კარგად საუბრობს".*

*აგვისტოს მოვლენებისას კუპერის რეაქციაზე კი ქავთარაძემ თქვა: „როდესაც ცხინვალში ეს ამბები დაიწყო, კუპერის ქცევაში განსაკუთრებული ცვლილება ვერ შევამჩნიე. მეტიც, მომეჩვენა, რომ ყოველივეს გარკვეულ გამოწვევად აღიქვამდა — იმუშაოს ქვეყანაში, სადაც საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. აგვისტოს დასაწყისში კუპერი ფეხბურთის ფედერაციაში ყოველდღე რეკავდა და კითხულობდა, როდის შეეძლო ჩამოსვლა. თუმცა ჩვენ ვპასუხობდით, რომ ამის აუცილებლობა არ იყო".*

*ქავთარაძის თქმით, ირლანდია-იტალიასთან მატჩების შემდეგ კუპერი ცოტა ხნით მალიორკაზე, საკუთარ სახლში შეივლის და კვლავ თბილისში ჩამოვა...*

*„იმ დროისთვის კუპერის საცხოვრებელი უკვე მოძებნილი გვექნება. მას ცხოვრება არა სასტუმროში, არამედ ბინაში სურს. იგი დროის უმეტეს ნაწილის გატარებას საქართველოში აპირებს. უკვე მკითხა კიდეც, თბილისში როგორი ზამთარი იცის. ქართველი მძღოლებითაც დაინტერესდა. მე ავუხსენი, რომ დედაქალაქში ავტომანქანით გადაადგილება უფრო ყურადღებით მართებს. ცხადია, მძღოლს გამოვუყოფთ, თუმცა მას საჭესთან ჯდომა თავად უყვარს".*

# ჩვენი მეტოქეები


მარჩელო ლიპი

## ჩვენი ჯგუფის სხვა კითხვები

**კვიპროსი — იტალია**
**ჩერნოგორია — ბულგარეთი**

**დღეს** 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება და საქართველოს ნაკრების ჯგუფში კიდევ ორი მატჩია.

ჯგუფის ფავორიტი იტალია კვიპროსს ესტუმრება. იტალიელები ფავორიტები კი არიან, მაგრამ „აძურის“ თავკაცი მარჩელო ლიპი შეგირდებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

სამაგიეროდ, დიდ გულზე არიან მასპინძლები. მართალია, მაინცდამაინც მოგებაზე არ იქაჩებიან, მაგრამ ქულის აღებას კი გეგმავენ.

მასპინძლები სულ სამი ლეგიონერით დაუხვდებიან მსოფლიოს ჩემპიონებს, დანარჩენები ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები იქნებიან.

იტალიელებს რამდენიმე დაშავებული ჰყავთ — ნიკოლა ლეგროტალიესა და ალბერტო აკვილანის ბოლო ვარჯიშზე ალექს დელ პიეროც დაემატა და მისი თამაშიც სათუო გახდა.

მეორე მატჩში შესარჩევების დებიუტანტი ჩერნოგორია ბულგარეთს უმასპინძლებს. ფიფას რეიტინგით ფავორიტებად სტუმრები ითვლებიან, თუმცა ჩერნოგორიელებმა ამხანაგურ მატჩებშიც დაამტკიცეს, რომ სხვისი ფავორიტობა ბევრს არაფერს ნიშნავს და სამ ქულას გეგმავენ.

თავის მხრივ, სამი ქულისთვის ჩადიან ბულგარელებიც, რომლებიც ჯგუფიდან გასვლას ლამობენ და დასაკარგი ქულები არ გვაქვსო, გაიძახიან.

მოკლედ, პოდგორიცეში მაგარი ჯახი იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**geo_geo_fan@hotmail.com**

## ჩვენ გვჯერა!

**SOZIASHVILI**: სალამი „სარბიელს“! აი, იწყება მსოფლიოს შესარჩევის ახალი ციკლი. იმასთან შედარებით, რაც აგვისტოში გადავიტანეთ, იდეაში ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორ ითამაშებენ ჩვენი ბიჭები პირველ შეხვედრას ირლანდიასთან, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრაა...

პირველ რიგში დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები თავს დადებენ. ამ ომმა მთელი ერი შეკრა ერთ მუშტად და მჯერა, ნაკრების ყველა წევრმა ერთხელ და სამუდამოდ გაიაზრა და გაითავისა ის, თუ რას ნიშნავს შენი ქვეყნის ღირსების დაცვა მოედანზე.

მეორე მხრივ, თბილისში რომ გვეთამაშა, უეჭველად მოვიგებდით, მაგრამ მჯერა, მაინცშიც იქნება ჩვენი ბიჭების მხარდაჭერა და სრულიად საქართველოდან წამოსულ მუხტს ისინი გერმანიაშიც იგრძნობენ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, რიგითი გულშემატკივრები ალსავსენი ვართ ჩვენი გუნდის რწმენით! სხვა დროს აუცილებლად დავწერდი ჩემს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რა შემადგენლობა უნდა დააყენოს კუპერმა, რა ტაქტიკით ითამაშოს და ასე შემდეგ (საქართველოში ხომ ყველანი ფეხბურთში ვერკვევით), მაგრამ ახლა მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ საქართველო გაბრწყინდება, საქართველო აუცილელად იქნება მთლიანი, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო და ჩვენ აღარასდროს შეგვრცხვება ჩვენი ნაკრების უსუსური და უხალისო თამაშის გამო.

საქართველოსთვის ახალი ეპოქა უკვე დაიწყო!

დაე, ჩვენი ნაკრებისთვის ახალი ერა ირლანდიასთან თამაშით დაიწყოს!

ჩვენ ამის გვჯერა!

## იბერია 2003 და ჩემპიონთა ლიგა

**საქართველოს** ჩემპიონი ფუტსალში თბილისის „იბერია 2003“ 8 სექტემბრიდან უეფას თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპში ჩაებმება, რომელიც ჩეხეთში გაიმართება.

„იბერია 2003“-ს მასპინძელ „პრუდიმის“ გარდა ისრაელურ „ჰაპოელთან“ და ლიტვურ „ნაუტარასთან“ მოუწევს დაპირისპირება. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის, რომელიც ელიტ-რაუნდში ითამაშებს.

ელიტ-რაუნდი 8-16 ნოემბერს არის დაგეგმილი და მისი ფორმატი ასეთია: შესარჩევიდან გასულ 12 გუნდს დაემატება 4 განთესილი. ეს თექვსმეტეული შექმნის ოთხ ჯგუფს, რომელთა გამარჯვებულებიც „ოთხთა ფინალს“ გაითამაშებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოვიდა იმის დრო, ჩვენც ვთქვათ ჩვენი



„საქართველოს ნაკრები არასოდეს მოხვედრილა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებზე. გერმანული „კარლსრუეს“ ალექსანდრე იაშვილი ამ ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა და ქართველებს რომ მუნდიალ-2010-ზე გასვლისა ეიმედებათ, ამაში იაშვილის ფაქტორიც დიდია“ — ასეთი შესავალი აქვს ინტერვიუს აკუნასთან, რომელიც WWW.FIFA.COM-ზე გამოქვეყნდა. ამასთან, ფიფას ოფიციალური ვებგვერდი ჩვენიანს ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე მებრძოლ ფეხბურთელად ახასიათებს...

— 1997 წლიდან გერმანიაში თამაშობთ. სამშობლო ხშირად გენატრებათ?

— ძალიან ხშირად. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობ და ოჯახიც იქ მყავს, საქართველო ძალიან მენატრება. ჩემს ქვეყანაში ოჯახი ფართო მცნებაა, ნათესავ-ახლობლებს ოჯახის წევრებად ვთვლით.

— 175 სანტიმეტრი სიმაღლის ხართ და ფიზიკურად ჩაღგმული. როგორ ახერხებთ ტექნიკურ თამაშს?

— ვფიქრობ, ჩემი სიძლიერე ბურთთან კონტაქტშია. ეს საქართველოში ბავშვობიდანვე მაქვს ნასწავლი — ჩვენთან ტექნიკური ფეხბურთელები არიან, მეც გამომუშავებული მაქვს, რომ ბურთი ფეხებთან უნდა მქონდეს მიმაგრებული.

— ხანგრძლივი შესვენების შემდეგ „კარლსრუე“ ბუნდესლიგაში მეორე სეზონს ატარებს. შარშანდელმა სეზონმა რა შეგძინათ?

— ჩვენ ნებისმიერ მატჩში სულს და გულს ვდებთ თამაშში. ყველა შეხვედრის წინ ვგრძნობთ, რომ მოგება შეგვიძლია, კარგი გუნდი გვყავს.

— „კარლსრუეს“ დღევანდელი შემადგენლობიდან თქვენზე მეტი გოლი გერმანიაში არავის გაუტანია, თუმც ბოლო პერიოდში შედეგიანობას მოუკელით...

— ჩვენთვის გუნდური თამაშია უპირველესი და არა კონკრეტულად ერთი რომელიმე ფეხბურთელის მიღწევებზე ფიქრი. „კარლსრუემ“ ამ სეზონში მინიმუმ 40 ქულის აღება დაისახა მიზნად და მეტიც, შეგვიძლია, უეფას თასის გამსვლელ ზონაში ვიტრიალოთ. ასეთ დროს კონკრეტულად ჩემს გოლებს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — მირჩევნია, სეზონი უგოლოდ დავასრულო და „კარლსრუე“ სასურველ ადგილზე გავიდეს, ვიდრე პირიქით — ბევრი გავიტანო და გუნდმა ვერაფერს მიაღწიოს.

— საქართველოს ნაკრებში 12 გოლი გაქვთ გატანილი. რომელს გამოარჩევთ?

— ყველა გოლი ჩემთვის მნიშვნელოვანია და გამორჩევა არ გამომივა. ყოფილა ისეთები, რომლის მეშვეობით მატჩი მოგვიგია. იმედი მაქვს, კიდევ არაერთ გოლს გავიტან.

— 6 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი გეწყებათ ირლანდიასთან მატჩით. რას იტყვით, საქართველოს ნაკრები როგორ ხვდება ამ თამაშს?

— ჩვენ ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ გუნდურობა გვაკლდა. მოვიდა იმის დრო, გუნდურადაც არ მოვიკოჭლებდეთ.

— ბევრი ფიქრობს, რომ საქართველოს გაუჭირდება მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლა...

— ჩვენი ჯგუფი ძლიერია, იტალია გამოკვეთილი ფავორიტია, თუმც საქართველოს ნაკრებს შეუძლია პლეი ოფის საგზურის მოპოვება, ანუ მეორე ადგილზე გასვლა.

## რეგიონთა თასი: კარი შვედეთთან გავიჯახუნეთ

**უეფას** რეგიონთა თასის წინასწარ რაუნდში „თბილისმა“ ჯგუფური ეტაპი მოგებით დაასრულა, თუმც ეს ოთხგუნდა ჯგუფიდან გასასვლელად არ ეყო.

ელგუჯა გუგუშვილის გუნდმა კაუნასში 1:0 სძლია შვედურ „ვოქსიოს“, ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში კი ლიტვურმა „ალიტისმა“ და თურქულმა „მარმარამ“ 1:1 ითამაშეს — ამ ფრემ ლიტველებიც და თურქებიც გაიყვანა პირველ-მეორე ადგილზე.

იმისთვის, რომ „თბილისი“ გასულიყო, „მარმარას“ ორი ბურთით უნდა მოეგო „ალიტისისთვის“.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარმარა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ალიტისი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 6 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ვიქსიო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## დღეს პირველი ლიგა იწყება

**მადლობა** ღმერთს, დადგა დრო, როცა საქართველომ ფეხბურთისთვისაც მოიცალა. დღეს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება იწყება.

პირველ ლიგაში ორი ზონაა — დასავლეთი და აღმოსავლეთი. უმაღლესი ლიგის მსგავსად, აქაც 11-11 გუნდი ითამაშებს.

უმაღლესში მხოლოდ პირველადგილოსნები აღზევდებიან.

მიზეზთა გამო მთლიანი კალენდარი ჯერ არ დამტკიცებულა, ოდენ პირველი ტურის განრიგი ვიცით.

წინასწარ ძნელია თქმა, ვინ იქნება ფავორიტი, თუმცა შთაბეჭდილება თასის მატჩებით შეგვექმნებოდა.

როგორც ჩანს, დასავლეთ ზონაში უფრო დიდი ბრძოლა იქნება უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად.

მთავარი პრეტენდენტი ალბათ მაინც ზუგდიდის „baia“ იქნება. სათასო მატჩებმა დაგვანახეს, რომ გერმანელ ჰერბერტ ცანკერს უმაღლესში გადასასვლელად მებრძოლი გუნდი ეყოლება.

### პირველი ტური

**დასავლეთი**

8 სექტემბერი

**სამტრედია — კოლხეთი**
**ჭიათურა — გურია**
**ბაია — მეშახტე**
**ზესტაფონი 2 — ბათუმი**
**ხობი — ტორპედო 2008**

**მარტვილის „მერანი“ ისვენებს**

**აღმოსავლეთი**

7 სექტემბერი

**ნორჩი დინამო — დინამო 2**
**ამერი — კახეთი**
**გაგრა 2 — სიონი 2**

8 სექტემბერი

**ვიტ ჯორჯია 2 — ჩიხურა**
**თბილისი — დილა**

**ლაგოდეხის „შერეთი“ ისვენებს**

თასზე „ბაიამ“ ჯერ თანაქალაქელი „მგლები“ ჩამოიცილა, მერვედინალის პირველ მატჩში კი რუსთავში „ოლიმპს“ გვარიანი ბრძოლა გაუმართა და შინ სასურველი ფრით (1:1) დაბრუნდა. კაცმა არ იცის, რა იქნება საპასუხო მატჩში.

ლანჩხუთის „გურიას“ ფიქრიც უმაღლესში ასვლაა. „სამტრედიაც“ არ ჩანს სუსტი და მარტვილის „მერანიც“ ფავორიტებში უნდა მივათვალოთ.

ახლახან შექმნილი ქუთაისის „ტორპედო 2008“ და „ჭიათურაც“ ალბათ პირველობისკენ გაიქაჩებიან და ვნახოთ, რა გამოუვათ.

საინტერესოა პირველ ლიგაში „ბათუმის“ ხილვაც. ეს გუნდი ხომ პირველად ჩაქვეითდა და დიდი შანსი იყო, სულაც ვერ მიეღო მონაწილეობა, მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე ფინანსები გაჩნდა...

აღმოსავლეთ ზონაში თავისი ნებით ჩაქვეითებული თბილისის „ამერი“ უმაღლესში დაბრუნების მთავარი კანდიდატია. ვინ იქნებიან ამერელთა კონკურენტები, ამის თქმა ჯერ ძნელია.

სასიამოვნო ისაა, რომ გორელებმა მოახერხეს მობილიზება და „დილა“ პირველ ლიგაში ითამაშებს.

**ნუგზარ ლოლაძე**

## ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# საქართველომ ჯერ ფსიქო-ომი წააგო...

მინსკი. 5 სექტემბერი. 17 საათი. ტრაქტორი. 13 000 მაყურებელი

## რუსეთი 4:0 საქართველო

| | |
|---|---|
| 1:0 ნაბაბკინი (7), 2:0, 3:0 პრუდნიკოვი (41, 52), 4:0 სალუგინი (63) | |
| რუსეთი: შუნინი, შიშკინი, ნაბაბკინი, კუდრიაშოვი, იატჩენკო, გლუშაკოვი, რიაზანცევი, სამსონოვი (კასაევი 46), დ. კომბაროვი, ფაიზულინი (ბაკაევი 72), პრუდნიკოვი (სალუგინი 57) | საქართველო: თევდორაძე, თომაშვილი, გ. კაშია, დ. ფოფხაძე, სანაია, ნავალოვსკი, შონია, თარგამაძე (კობახიძე 46), დევდარიანი (ბეგლარიშვილი 62), ივანიშვილი (ხიდეშელი 46), რ. წინამძღვრიშვილი; სათადარიგონი: მ. ალავიძე, ვაწაძე, შ. გრიგალაშვილი, დაუშვილი |
| მწვრთნელი: ბორის სტუკალოვი | მწვრთნელი: პეტარ სეგრტი |
| გაფრთხილება: კაშია (6), ნაბაბკინი (24), ხიდაშელი (58), წინამძღვრიშვილი (58), კომბაროვი (61) | |
| მსაჯები: ა. მაკკორტი, ტ. ფეირფილდი, დ. სტილი, დ. მალკოლმი (ყველა ჩრდ. ირლანდია) | |
| დელეგატი: ი. პისკანუ (რუმინეთი); დამკვირვებელი: ი. რინგი (უნგრეთი) | |

**ვინმეს** ჰგონია, რომ საქართველოში შექმნილი არეულობა და მატჩისწინა ამხელა აჟიოტაჟი რომ არა, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 0:4 წააგებდა რუსებთან? ალბათ არ წააგებდა, მოსკოვში რომც ყოფილიყო თამაში. ასეთია ფსიქოლოგიური ტვირთი — ბრაზი და ბოღმა ზოგჯერ კარგად მოქმედებს, მეტოქის შეჭმა გინდა და უკან არაფერზე იხევ, მაგრამ ზოგჯერ პირიქით, იფიტები, ფეხები აღარ გემორჩილება...

სამწუხაროდ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ ტვირთს ვერ გაუძლო.

ახლა რომ დავიწყოთ, სწრაფმა გოლმა გატეხა პეტარ სეგრტის გუნდიო, დასაცინები ვიქნებით. არც პირველი, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე გოლი საფეხბურთო შედევრი არ ყოფილა — ძალიან მარტივად იყო ყველაფერი გაკეთებული და სამწუხაროდ, ქართველთა დაცვა და მეკარეც სტატისტები იყვნენ.

თითქოს რუსები მოედანზე მეტნი იყვნენო, ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნებოდათ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი მოძრაობდნენ, დარბოდნენ, ერთმანეთს აზღვევდნენ, ჩვენები კი ფეხებშებორკილები იყვნენ.

გუშინ მარტო ფეხბურთი არ იყო, სირაქლემის როლში ყოფნას არ ვიკადრებთ და გუშინ თუ სხვას ვამბობდით, დღეს ვერ გადავთქვამთ. ქართველებმა ავი ქვეყნის შვილებს, თავიანთ რუს თანატოლებს, დიდი ტკივილისთვის სამაგიერო ვერ მიუზღვეს.

არც წაგების შემდეგ მუშტების ქნევა იქნებოდა ლამაზი. წაგებასაც ატანა, ცოდნა უნდა...

ვეჭვობთ, მაშინ უფრო დაიძაბებოდა სიტუაცია და ვინძლო, გვარიანი ჩხუბიც ამტყდარიყო, თუ თამაში ასე თუ ისე თანაბარი იქნებოდა. ასეთ მატჩში კი რა იყო საჩხუბარი და გასაწევ-გამოსაწევი — ერთხელ კი ვერ მოითმინეს ჩვენებმა, გიორგი ხიდეშელმა ლამის ფეხი მოაძრო დუბლის ავტორ პრუდნიკოვს და როცა ჯეელი რუსი ხურდისთვის დაიძრა, შორიდან რატი წინამძღვრიშვილიც გამოიჭრა და მეტოქეს უთავაზა.

ძნელია, დაიოკო ნერვები, როცა მტერი ქვეყანა გამარცხებს და თან ნება-ნება გეთამაშება, თითქოს დაგცინისო, ისეთ კომბინაციებს აკეთებს.

ახლა კი წმინდა სათამაშო კომპონენტებზე: რატომ დარბოდა მარტო გიორგი ფოფხაძე რუსების მიერ ყველა გადაგდებულ ბურთზე?! დაცვიდან თუ ვინმეს ნორმალურად ბურთი გამოჰქონდა და ამოჰქონდა, ფოფხაძე იყო. შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი და სასწაული სამუშაო გასწია. რატომ ისიც არ ჩაიკარგა?!

იმიტომ, რომ მშვიდი, ნერვებს აუყოლელი ბიჭია...

რატი წინამძღვრიშვილიც თითქმის დაკარგულ ბურთებს იგდებდა ფეხებში, მაგრამ ისე მოგვეჩვენა, რუსთა ნახევარზე ოკეანეში ჩაკარგული კუნძულივით იყო — არანაირი მხარდაჭერა მთელი 62 წუთის განმავლობაში. სანამ ტანჩია ზაქარია ბეგლარიშვილი არ გამოვიდა მინდორზე და რატის რამდენიმე კარგი პასი არ მისცა, ამერელი ტყუილად შრომობდა და წვალობდა, დამხმარე ვერ გამოუჩნდა.

რით იწყებოდა რუსთა შეტევა? თითქმის ყველა ასე: მეკარე გადაუგდებდა ბურთს მცველებს, რამდენიმე პასი და მოედნის ცენტრში ისე იდგა ერთი ან ორი რუსი, როგორც სამარილე სუფრაზე. მათაც სივრცე ჰქონდათ და იყენებდნენ.

საინტერესოა, რატომ დააყენეს გიორგი ნავალოვსკი საყრდენად, როცა ეს ბიჭი ფლანგზე უფრო ძლიერია; ან რა უნდოდა მარცხენა ფლანგზე დავით დევდარიანს, რომელიც სისწრაფით არ გამოირჩევა; ნახევარდაცვას მურთაზ დაუშვილის ჯიგრიანობა არ წაადგებოდა ასეთ თამაშში?!

აი, სწორედ ესაა — გუშინ, რაც შეიძლება, მეტი მებრძოლი სჭირდებოდა ნაკრებს, რათა მინსკის „ტრაქტორი“ რუსებისთვის არ გადაეხვნევებინა..

**ილია ნანობაშვილი**

*ახლა კი პეტარ სეგრტის კომენტარი, რომელიც რუსულმა პრესამ გამოაქვეყნა:*

„პირველ რიგში, ვულოცავ რუსეთს დამაჯერებელ მოგებას. გამარჯვება მათ ჩვენზე მეტად სჭირდებოდათ. გვქონდა ერთი-ორი საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ბორის სტუკალოვი კარგი ადამიანი და შესანიშნავი მწვრთნელია, ვულოცავ გამარჯვებას. სტუკალოვი მეორედაც რომ დამემარცხებინა, შესაძლოა, მწვრთნელობიდან გადადგომამდე დასჯდომოდა.

...შარშან რომ რუსეთის ნაკრებს მოვუგეთ, მაშინდელ შემადგენლობას დღეს ცხრა ფეხბურთელი აკლდა, ოთხი მათგანი ეროვნულ ნაკრებშია, მე ძალიან დამაკლდნენ ეს ბიჭები...

...ბელარუსში მხოლოდ ორი დღით ადრე ჩამოვფრინდით, ზოგიერთი ფეხბურთელი კი სულაც გუშინ ლამე შემოგვიერთდა. სამწუხარო კონსტატირებას გავაკეთებ: საქართველოს დღეს არ ეფეხბურთება...

...ვფიქრობ, თამაშის სხვა ქვეყანაში გადატანა სწორი იყო. დარწმუნებული არ ვარ, რომ მოსკოვში ჩვენ უსაფრთხოების გარანტია გვექნებოდა“.

*დავიჯეროთ, ასე აღელვებს სეგრტს სტუკალოვის სამწვრთნელო ბედი?*


რუსებმა ქართველების ძლევით გაიხარეს


[illegible] ფოტო

# ნუ გადაგვაყოლებთ!

**გუშინ** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ის თამაში წააგო, სადაც მარცხი არაფრით შეიძლებოდა. ყველამ, ვინც ჯერაც ქომაგობს გასაცოდავებულ ქართულ ფეხბურთს, კიდევ ერთხელ ამოვიგმინეთ. კიდევ ერთი დარტყმა ვიგემეთ და უიმედოდ დავიბოღმეთ...

ხშირად თქმულა და დაწერილა, რომ ფეხბურთი პოლიტიკა არ არის, მაგრამ რუსებთან სხვანაირად არ გამოდის. ჩრდილოელებთან ყველანაირი დაპირისპირება მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და სხვანაირად არ შეიძლება იყოს. ჩვენ გუშინ ყველამ ერთად წავაგეთ, იმათ, ვინც მინსკის „ტრაქტორზე“ უსისხლოდ ირჯებოდა და იმათაც, ვინც ტელევიზორებთან უმწეოდ ვიჯექით. ალბათ მოსალოდნელიც იყო წაგება, რადგანაც მთელი ქვეყანა, ყველა ქართველი დღეს დამარცხებულის ტვირთს ზიდავს.

ბატონო სეგრტ, თქვენმა გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა თბილისში რუსებს მოუგო. ალალი მადლობა და ხალხის სიყვარული დაიმსახურეთ მაშინ, მაგრამ გუშინდელი მარცხისთვისაც მოგიწევთ პასუხისგება. ბოლო პერიოდში მხოლოდ პიარმა გაგიტაცათ. რეალობას მოსწყდით და შედეგიც სახეზეა. მხოლოდ პიარმა და გულში მჯილის ცემამ მიიყვანა ეს ქვეყანა დამარცხებამდე.

რაც უნდა ეცადო, პრობლემებს ვერ მიჩქმალავ, სეგრტს და მის სამწვრთნელო შტაბს თავისი შეცდომებიც ჰყოფნით და პირადად მე სულაც არ ვაპირებ ხორვატიისეულ ტაქტიკაზე და სათამაშო სტილზე კამათს. თუ საქართველოში კიდევ დიდხანს სურს მუშაობა, სეგრტი თავის წილ შეცდომებს თავად გაანალიზებს. ერთი კია, დღევანდელ ახალგაზრდულში ძალიან ხომ არ მომრავლდა ზერეკლამირებული და სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელები?!

ალბათ ისიც შეცდომა იყო, როცა ასეთი უპრინციპულესი მატჩის წინ შეკრებაზე 32 ფეხბურთელია გამოძახებული. შეცდომა მგონია ისიც, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ ექსპერიმენტებს მიმართავ და „ომში“ გამოუცდელ ბიჭებს უშვებ. უცხოური კლუბების სარეზერვოებში იშვიათად ბურთაობა ფეხბურთელობას რომ არ ნიშნავს, გუშინაც ნათლად გამოჩნდა. იქნებ უპრიანი ყოფილიყო მოედანზე იმ „ახალგაზრდა გვარდიის“ გაყვანა, ვისაც ეროვნულ ჩემპიონატში სათამაშო პრაქტიკა არ აკლია და ბრძოლისუნარიანობაც მეტი გააჩნია...

ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც ადვილი დასანახია. სხვაც სხვის ომში ხომ ბრძენია და ამიტომაც შევეშვათ სეგრტს, მით უმეტეს, წინ კიდევ ერთი მატჩია პოლონეთთან და იქნებ ახალგაზრდულმა კარი მაინც გაიჯახუნოს.

ახლა იმ შეცდომებზე ვილაპარაკოთ, რომელიც ახალგაზრდულის თავკაცებს არ ეხებათ და სხვა ხელმძღვანელების მოსაგვარებელია.

რუსებთან თამაშის წინ ახალგაზრდული თბილისში მოემზადა, მაგრამ გუნდი რაღაც მიტოვებულს ჰგავდა. გვესმის, რომ ეროვნული ნაკრები უმთავრესია, თუმც ჩრდილოელებთან საომრად რამდენიმე „ეროვნულელი“ ფეხბურთელის ახალგაზრდულში ყოფნა უპრიანი იქნებოდა.

სეგრტი ბიჭებს საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე ავარჯიშებდა. იქაურ ბალახის საფარს წუნს ვერავინ დაუდებს, მაგრამ მინდორთან ერთად ბურთიც გინდა, ჰოდა, ნაკრებს ბურთები აქვს?!

ბოლო დღეებია, თბილისში ტემპერატურა საგრძნობლად დაეცა და ნაკრების მწვრთნელი კი არ უნდა დაძვრებოდეს ბაზის კედლებზე და ბიჭებისთვის გრძელმკლავიან სავარჯიშოებს საწყობის ფანჯრიდან კი არ უნდა ყრიდეს, არამედ...

რუსეთთან საომრად მიმავალი გუნდი მინსკში ორ ნაწილად, დაქსაქსული არ უნდა მიდიოდეს. ბური, ფორმა, თვითმფრინავის ბილეთი... თითქოს ეს წვრილმანია, მაგრამ ფეხბურთში წვრილმანი პრობლემა არ არსებობს. ყველაფერი ერთად რომ შეიკრიბა, მინსკის „ტრაქტორზე“ რუსები ოთხ გოლს ზეიმობდნენ. ჩვენ კი დაგვრჩა ოხრად გულში მჯილის ცემა და სიტყვები, მხოლოდ მაღალფარდოვანი, ჰაერში ნასროლი სიტყვები.

კარგია, როცა სეგრტი ქართულად გვესალმება, ბიჭებს ქართულად შეუძახებს, მიტინგზეც ხომ გამოვა და ქართველივით „შეუკურთხებს“ რუსებს. ეს თვისებები ხორვატისადმი კეთილად განგვაწყობს, აკი იგუა კიდეც საფეხბურთო საქართველომ ეს კაცი, მაგრამ, ალბათ დროა, ბატონი პეტარი რეალობას დაუბრუნდეს. ფეხბურთის ფედერაციამაც ყველაფერი ეროვნულ ნაკრებს არ უნდა გადააყოლოს. ეროვნული მთავარია, მაგრამ მის უკანაც არის რაღაც უმთავრესი, რაც ნაკრების საყრდენია... ჩემპიონატი, სადაც კლუბი კლუბზე გვეშლება...

პიარი საჭიროა, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა, თქვენს საკეთებელს თქვენს ნაცვლად სხვა ვერ გააკეთებს. სხვებს სხვანაირად შეეძლებათ გაკეთება...

**დათო დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიგანმა უგანა



**ნიუკასლში** დიდი არეულობაა. მიზეზი: კევინ კიგანმა განაცხადა, რომ ის დენის უაიზმა შეავიწროვა და ადგილობრივი „იუნაიტედის" მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა. „კაჭკაჭთა" ფანები აღშფოთებას ვერ მალავენ.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი დენის უაიზი, მოგეხსენებათ, „ნიუკასლ იუნაიტედში" საფეხბურთო საქმეთა დირექტორად მუშაობდა და, როგორც ირკვევა, მწვრთნელის, მასზე გაცილებით ცნობილი და სახელოვანი კევინ კიგანის ზურგსუკან მისთვის უსარგებლო სატრანსფერო ოპერაციებს ატრიალებდა.

ერთი სიტყვით, კიგანმა ვითარება ვეღარ აიტანა და წავიდა, რამაც ფანები განარისხა — მათი რისხვის ობიექტი კლუბის მეპატრონე და თავმჯდომარე მაიკლ ეშლი გახდა.

ხოლო კითხვაზე, თუ ვინ დაიკავებს კიგანის განთავისუფლებულ ადგილს, პასუხი ასეთია: სავარაუდოდ მისი თანაშემწე, წარსულში ასევე ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი გუსტავო პოიეტი. ყოველ შემთხვევაში, ამწუთას მას სხვებზე მეტი შანსი აქვს.

„ყველა ღონე ვიხმარე, რათა კლუბის დირექტორატის წევრებთან საერთო ენა გამომენახა — განაცხადა „ჯორდების მესიამ" სამსახურიდან წავლის შემდეგ — მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ჩემი ღრმა რწმენით, მწვრთნელმა უნდა გაწვრთნას და თან ის ხალხი, ვისთან მუშობაც საჭიროდ მიაჩნია. მას არ უნდა მიუყვანონ მოთამაშეები, რომლებიც არ სჭირდება. „ნიუკასლს" კი მომავალშიც წარმატებას ვუსურვებ და იმედი მაქვს, მაღალ საფეხურზე ვნახავ".

ტოტალიზატორი

## 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

— რას უყურებ?
— ინგლისის სამხრეთ კონფერენსს.
— მოწვი?
— რა?
— გუნდი რო იჩითება „თიმ ბეთი"
— მერე?
— რა მერე, ტო! „ბეთი" რო ჰქვია გუნდს, ზნაჩიტ ცვეტში ყომარობს. უეჭველს გეუბნება, ჩავტეხავო.
— მაშინ წყვილად უნდა ავიღოთ.
— რა პონტში?
— აგე, „ჰევანტი" — „ბეთიც" ეძრობა და „თიმ ბეთი" — „სენტ ალბანსიც". ბეთებიანი ბილეთის დამწერი ვარ. ორივე გატეხავს. წყვილში შვიდი კუში გროვდება და ასი ლარი უნდა შევაგდო. იმენა შვიდას ლარს ავარტყამ და ვალებსაც გავისტუმრებ.
— მოდი, იცი, რა ვქნათ? ბარემ მესამეც მივაბათ.
— რომელი?
— „ვოქსჰოლი" — „ბლითი"
— მერე, მანდ ბეთი რო არაა?
— „ბლითი", „ბეთი"... ერთი და იგივე სასტავია, რა... პროსტაამც, „ბლითი" „ბეთის" ფილიალი იქნება და მაგ პონტში...
— თუ ფილიალებს აწვები, მაშინ მაგარ თამაშს ჩაგაწვეთებ.
— გამოუშვი.
— აი, ნახე, ავსტრიის ცენტრდივიზიონში სერიოზული ნიჩია იკვეთება.
— „რაიხენჰაუ" — „ფელდკირხი"?
— არა, ტო! ეგ დასავლეთია, ავსტრიის გეოგრაფიის გაკვეთილს ნუ ჩამატარებინებ, რა! მე ცენტრს გეუბნები, იმენა ცვეტში ფრეა „ბად აუსე" — ბლაუ".
— სიზმარში ნახე?
— სიზმარში კი არა, გერმანულ-ინგლისურ ლექსიკონში ვნახე, რო „ბად აუსე" ინგლისურად „თიმ ბეთია", „ბლითი" კიდე „ბლაუს" პონტში გადის. კაროჩე, სამი ყომარბაზი იმენა გავაიასნე და ეგენი უეჭველში უნდა ჩავწერო. თუ გინდა, მამენტ წილში შემოდი.
— შემოვიდოდი, მარა შენ აქამდე ქართული არ იცოდი და ეხლა გერმანულ-ინგლისური ეგრე მალე როგორ ისწავლე?
— რა სწავლა და მარჩიელობა უნდა, ტო! ლექსიკონი და იმის ჯანი.
— მარჩიელობაზე გამახსენდა, მარჩელო ლიპი კვიპროსში არ გატეხავს? ავსტრიასთან ხო გაატყავა ხალხი და ეხლა მეორესაც მიაყოლებს.
— ლიპი არა მგონია, მარა, ალექს ფერგიუსონის საუკეთესო ტრადიციებს კარლუშ კეიროში მალტასთან გააგრძელებს.
— ვერ გავიგე?
— რა ვერ გაიგე, ტო! ფერგიუსონის „მანჩესტერი" სუპერთასზე „ზენიტს" ხო დაუწვა და ეხლა ფერგიუსონის ბივში ასისტენტი მალტასთან დაწვება. იმენა ეგ თამაში პორტუგალიის ორიანში სერიოზულად იგრუზება და ვიღაცამ ხო უნდა გატეხოს...

**ძუში ძოწმარია**

ჩემი ბილეთი:
001. ჰოკეი, სლოვაკეთი
ზვოლენი — პოპრალი
შედეგი: ათი და მეტი კუთხური
სავარაუდო მოგება: ყინულის ნაჭერი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ პასუხს
კითხვაზე „რუსებს რა უნდათ ფოთში?"

114140 *

## მანუჩუს სამუშაო ვიზა

**ანგოლის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა მანუჩომ ინგლისის სამუშაო ვიზა მიიღო. ფეხბურთელმა „წითელ ეშმაკუნებთან" კონტრაქტი 2007 წლის დეკემბერში გააფორმა, თუმცა შემდგომ იჯარით ბერძნულ „პანათინაიკოსში" გამოდიოდა: „მანუჩო 25 წლისაა და მას შესანიშნავი მონაცემები აქვს. რომ დარწმუნდე, საკმარისია, აფრიკის თასზე მის მიერ გატანილი გოლები ვნახოთ. მას დიდი პოტენციალი აქვს და, ვფიქრობ, ეს ფეხბურთელი ჩვენს კლუბს გააძლიერებს" — განაცხადა მანკუნიანელთა აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა.

## ინსი ფაულერს არ ეშვება

**ინგლისური** „ბლექბერნის" პრეზიდენტის ჯონ უილიამსის განცხადებით, „ვარდები" რობი ფაულერთან მოლაპარაკებას ჯერაც აგრძელებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით „როვერსის" დამრიგებელი პოლ ინსი აქტიურობს, რომელიც „ლივერპულში" ფაულერის გვერდიგვერდ თამაშობდა და მასთან ძველი მეგობრობა აკავშირებს. ზაფხულში „ბლექბერნის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის პირობები ვერ შეათანხმა. ამჟამად რობი თავისუფალი აგენტია.

## ბატეს ლიგამ არგო

**ჩემპიონთა** ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შემდეგ, ბელარუსული ბატე-ს ბიუჯეტი, როგორც მინიმუმ, გაორმაგდება. ფეხბურთელები პრემიების სახით დაახლოებით მილიონ ევროს მიიღებენ, დანარჩენი თანხები კი კლუბის განვითარებას და სხვადასხვა პროექტის რეალიზაციას მოხმარდება" — განაცხადა ბორისოველთა წარმომადგენელმა ალექსანდრ კაპსკიმ. შეგახსენებთ, რომ ბელარუსები ჩემპიონთა ლიგის H ჯგუფში მადრიდის „რეალთან", ტურინის „იუვენტუსსა" და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" ერთად მოხვდნენ.

## სობისი ჯერაც ბეტისელია

**სევილიის** „ბეტისის" სპორტულმა დირექტორმა მანოლო მომპარლეტმა თავდამხსმელი რაფაელ სობისის „ალ ჯაზირაში" გადასვლის ფაქტი უარყო: ერთი დღით ადრე არაბული კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ 23 წლის ფეხბურთელთან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია და 10 მილიონი ევროც არის გადახდილი. „სობისი ჯერჯერობით „ბეტისის" ფეხბურთელად რჩება, მაგრამ კლუბი ამ ტრანსფერზე მუშაობას აგრძელებს" — აღნიშნა ანდალუსიური კლუბის წარმომადგენელმა. აღსანიშნავია, რომ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში სატრანსფერო ფანჯარა მხოლოდ 10 სექტემბერს იხურება, ასე რომ, „ალ ჯაზირას" სობისის ტრანსფერის განხორციელებისთვის დრო კიდევ აქვს.

## რამოსი რეალის ერთგულია

**მადრიდის** „რეალის" მცველმა სერხიო რამოსმა თქვა, მზად ვარ, კარიერა „სამეფო კლუბში" დავასრულოო. „რეალის" ხელმძღვანელობა 22 წლის ფეხბურთელისთვის 10-წლიანი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს: „ეს შესანიშნავი ახალი ამბავია! მადრიდში ბედნიერი ვარ და აქ კარიერის დასრულებაზე ვოცნებობ — თქვა რამოსმა — ჩემი მოვალეობაა, უბრალოდ, კარგად ვითამაშო და მადრიდის „რეალსა" და ესპანეთის ნაკრებს უმაღლესი მიზნების მიღწევაში დავეხმარო".

## არწივებმა ჩაქუჩებს დაასწრეს

**სერია A-ს** „პალერმოს" ახალი დამრიგებელი ჰყავს — დავიდე ბალარდინი. „კალიარის" ყოფილმა დამრიგებელმა ამ თანამდებობაზე სტეფანო კოლანტუონო შეცვალა: „გუშინ, ორდღიანი ფიქრის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის შეცვლის გადაწყვეტილება მივიღე, რადგან შევიტყვე, რომ ის სპეციალისტი (ბალარდინი), რომელიც ჩემი გუნდის თავკაცად მსურდა, სხვა კლუბთან („ვესტ ჰემთან") მართავდა მოლაპარაკებას და სწრაფად მოქმედება იყო საჭირო" — ბრძანა „არწივების" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

## ქალაქელები ტრანსფერზე

**„მანჩესტერ სიტის"** სამწვრთნელო შტაბი ფელიპე კაისედოსთვის და ნერი კასტილიოსთვის კლუბების ძებნას აგრძელებს. „ქალაქელებს" ამ ფეხბურთელების იჯარით გასხვისება სურთ, რათა სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეთ. 19 წლის ეკვადორელი კაისედოთი ბერლინის „ჰერტა" იყო დაინტერესებული, მაგრამ შემდგომ გერმანელებმა ანდრეი ვორონინი შეიძინეს და ეს ტრანსფერი ჩაიშალა. ასევე წარუმატებელი გამოდგა კასტილიოს „ბეტისში" განათხოვრების ვარიანტი, რადგან სევილიელებს ფეხბურთელის სრულიად გამოსყიდვის უფლების მოპოვება სურდათ, რაც „სიტის" ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა.

## კმაყოფილი რიერა

**პრემიერლიგის** „ლივერპულის" ახალწვეულმა ალბერტო რიერამ განაცხადა, რომ მერსისაიდელებთან გადასვლით კარიერაში ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა: „მოხარული ვარ, რომ „ლივერპულის" რიგებში გადავალ. ვფიქრობ, ჩემს ახალ კლუბს ინგლისის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების კარგი შანსი აქვს" — თქვა ესპანელმა ნახევარმცველმა, რომელიც „წითლებმა" ბარსელონის „ესპანიოლიდან" დაახლოებით 8 მილიონ გირვანქად შეიძინეს.

**არჩილ ძოგახიძე**

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



ლარს ლაგერბეკი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი

## პორტუგალიის მეხუთე მალტაობა

I ჯგუფი

**ალბანეთი — შვედეთი**
**უნგრეთი — დანია**
**მალტა — პორტუგალია**

**პორტუგალიის** ნაკრების ახალი მწვრთნელის კარლუშ კეიროშის მეორე დებიუტი დღეს მალტაში შედგება. იგი უკვე თავკაცობდა ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის (1994) შესარჩევში და მაშინ მალტას სტუმრად 1:0 მოუგო. ეს ნაკრებები აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ და ოთხჯერვე პორტუგალიელებმა იმარჯვეს, კარლუშ კეიროში კი ამბობს, რომ მეტოქის შეუფასებლობის უფლება არ აქვთ, რადგან შესარჩევი ციკლი მოკლეა და ქულები თავიდანვე უნდა მოაგროვონ.

მალტელთა მწვრთნელი დუშან ფიტცელი კი აცხადებს, რომ მოწინააღმდეგის არ ეშინიათ, მიუხედავად მცველ იან აცოპარდის გამოკლებისა, რომელიც მამის ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებს ნაკრებში. მასპინძელთა კაპიტანმა ჯილბერტ აჯიუსმა თქვა: „ჩვენ ვიცით, რა შეგვიძლია და თუ დავალებას კარგათ შევასრულებთ, პორტუგალიას სიურპრიზს შევთავაზებთ“.

კარლუშ კეიროუშს დიდად არ შეუცვლია ლუიშ ფელიპე სკოლარის „ფორმულა“ და ისევ 4-5-1 სქემით თამაშს აპირებს. ეული ფორვარდი უგო ალმეიდა ან ნუნუ გომეში იქნება. კარში რიკარდუს ექვსწლიანი ბატონობის დასასრული მოვიდა და კეიროში კიმს უფრო ენდობა, მის შემცვლელად კი ბეტისელი ბოლომპიე შეიგულა.

დაცვაში პაულუ ფერეირა და მიგელი ითამაშებენ, რომლისთვისაც ეს მატჩი საიუბილეო, 50-ე გამოვა. რიკარდუ კვარეშმა და კრიშტიანუ რონალდუ კი ნაკრებს დააკლდებიან. „რონალდუ რომ ვერ ითამაშებს, არა მარტო ნაკრებისთვის, არამედ ფეხბურთისთვისაა ცუდი“ — განაცხადა კეიროუშმა. ნახევარდაცვაში კარლუშ მარტინში, პედრუ მენდეში, დეკუ, დანი და მანიშე ითამაშებენ.

რაც შეეხება ჯგუფიდან გასვლის შანსებს, პორტუგალიელთა თავკაცმა ბრძანა: „თეორიულად, დანია, შვედეთი და პორტუგალია პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ“.

შვედეთის ნაკრებიდან ორჯერ წასული და დაბრუნებული ჰენრიკ ლარსონი, ვისაც ამ თვეში 37 წელი შეუსრულდება, ლარს ლაგერბეკმა კაპიტნად დანიშნა. „ლარსონი ყველაზე გამოცდილია და სამკლავურს იმსახურებს“ — თქვა მწვრთნელმა ალბანეთთან მატჩის წინ. შვედი ფორვარდისთვის ეს მეასე სანაკრებო თამაში იქნება. მან სამკლავური ფრედერიკ ლიუნგბერგისნა მიიღო, რომელიც ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობა.

ლარს ლაგერბეკს ტრავმების გამო ნახევარმცველები დააკლდება — ანდრეს სვენსონი და კრისტიან ვილჰელმსონი. დანაკლისის შესავსებად მწვრთნელმა „ბაზელიდან“ ბერანგ საფარი გამოიძახა.

ალბანეთის ნაკრების მწვრთნელმა არი ჰანმა კი ვერონის „კიევოს“ ფორვარდ ერიონ ბოგდანის უხმო, რომელმაც ორი კვირის წინ ლიხტენშტაინთან ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა.

დანიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა უნგრელებთან მატჩისთვის ერთი კვირის წინ 15 ფეხბურთელი შეკრიბა, სამი დღის წინ კი მათ კიდევ რვა დაუმატა, რომელთაგან ექვსი დანიის ჩემპიონატში თამაშობს. ორი ლეგიონერი კი პეტერ ლიოვენკრანდსი („შალკე“) და ლეონ ანდრეასენია („ფულემი“).

**ვაჟა ხუციშვილი**

## შვილების მამა

II ჯგუფი

**პოლონეთი — სლოვენია**
**სლოვაკეთი — ჩრ. ირლანდია**

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ნაკრების ფეხბურთელები კიტ გილესპი და ჯორჯ მაკარტნი გამოკეთდნენ და ბრატისლავაში სლოვაკეთთან სათამაშოდ მზად არიან. გილესპიმ კოჭის ტრავმა მოირჩინა, ხოლო მაკარტნიმ პნევმონიას დააღწია თავი. ორივე ფეხბურთელმა შოტლანდიასთან ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა და ისინი ახლა მომჯობინდნენ.

კაილი ლაფვეტის ტრავმა იმას ნიშნავს, რომ მის ადგილს უორენ ფინი დაიკავებს და დევიდ ჰილისთან ერთად შეუტევს. ლაფვეტის ტრავმის გარდა ჩრდილოირლანდიელებს პრობლემები არ აქვთ. იგი სამშაბათს გამოაკლდა გუნდს და შესაძლოა, მომავალ ოთხშაბათს ჩეხეთთან ითამაშოს.

ჯონი ევანსიც დაშავებული იყო, მაგრამ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და დღეს ალბათ შეცვლაზე მაინც შევა.

„რეინჯერის“ ფორვარდ კაილი ლაფვეტის ზურგი სტკივა და იმედოვნებენ, რომ სამ დღეში გამოკეთდება. ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელმა ნაიჯელ უორთინტონმა განაცხადა, „რეინჯერსის“ თავკაც უოლტერ სმიტთან ლაფვეტის თაობაზე ვიმსჯელებთო.

უორთინგტონს მიაჩნია, რომ მის გუნდს სლოვაკეთში გამარჯვების შანსი აქვს. „პარტიკის“ მეკარე ჯონათან ტაფი ნაკრებში პირველად გამოიძახეს, რადგან როი კეროლმა ამ ზაფხულსვე თქვა, თუ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია არ მექნება, ნაკრებში არ ვითამაშებო.

სლოვენიის ნაკრების თავკაცმა მატიას კეკმა პოლონეთთან მატჩისთვის „უდინეზეს“ მეკარე სამირ ჰანდანოვიჩი, „ვესტ ბრომვიჩის“ ნახევარმცველი რობერტ კორენი და „კიოლნის“ ფორვარდი მილივოიე ნოვაკოვიჩი გამოიძახა.

პოლონელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა მოკვეთილების დაბრუნებაზე ჯერჯერობით უარი თქვა. მან უკრაინასთან წაგებული (0:1) ამხანაგური მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ არტურ ბორუცს, დარიუშ დუდკას და რადოსლავ მაევსკის ნაკრების მაისურას არ აღირსებს, სანამ არ გამოსწორდებიან.

ბორუცის ნაცვლად კარში ალბათ „არსენალის“ გოლკიპერი ლუკაშ ფაბიანსკი ჩადგება, მისი შემცვლელი კი ლუკაშ ჟალუსკა იქნება „დანდი იუნაიტედიდან“.

ბეენჰაკერმა არტურ ბორუცი თავხედ შვილს შეადარა, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია.

„ძალიან გამიჭირდა ამ სამი ფეხბურთელისთვის მკაცრი განაჩენის გამოტანა — აღნიშნა ჰოლანდიელმა — ამაზე ძალიან ბევრი ვიფიქრე, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა. იგივე გრძნობა გამიჩნდა, რასაც მამა გრძნობს, როცა შვილი ეურჩება. ასეთ შემთხვევაში შვილი უნდა დასაჯო და ცხოვრებაში სწორი გზა უჩვენო, თუმც მათდამი სიყვარული არ განელდება. სამივე მოკვეთილ ფეხბურთელს ახლაც დიდად ვაფასებ, მაგრამ ამ მომენტისთვის ჩვენი გზები გაყრილია.“

**ვაჟა ხუციშვილი**

## შვეიცარიის ყოფილმა რეიტინგი დაიწუნა

II ჯგუფი

**მოლდოვა — ლატვია**
**ისრაელი — შვეიცარია**
**ლუქსემბურგი — საბერძნეთი**

**შვეიცარიის** ნაკრების მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა „არსენალიდან“ „მილანში“ გადასული ფილიპ სენდეროსი ისრაელთან მატჩისთვის არ გამოიძახა. შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ჰიცფელდმა მილანელთან საუბრის შემდეგ მიიღო.

„სენდეროსს ძალიან უნდოდა თამაში, მაგრამ მწვრთნელს უთხრა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში სათანადოდ არ უვარჯიშია და ფორმაში არაა. ნაკრებს მიღმაც ამიტომ დარჩა“ — ნათქვამია განცხადებაში.

შვეიცარიელი მცველი ოთხშაბათს ლუქსემბურგთან მატჩსაც გამოტოვებს და, სავარაუდოდ, ოქტომბერში ლატვიასთან ითამაშებს.

მეგოლე ალექსანდერ ფრაი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე დაშავდა, დღეს გუნდს ვერ დაეხმარება, მაგრამ შესაძლოა, ლუქსემბურგთან ჰიცფელდმა შემადგენლობაში შეიყვანოს.



ოტმარ ჰიცფელდის პირველ სანაკრებო გამოცდას ისრაელი ჩაიბარებს

შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა იაკობ კუნმა მეტოქე ასე შეაფასა: „ჯგუფში პირველი ადგილისთვის საბერძნეთი, შვეიცარია და ისრაელი იბრძოლებენ. ეს გუნდები თანაბარძალოვანნი არიან და, როგორც 4 წლის წინ, ყველაფერი ბოლო ორ-სამ ტურში გაირკვევა“.

ის ფაქტი, რომ საბერძნეთი და ისრაელი ფიფას რეიტნგში მე-18 და მე-19 ადგილებზე არიან, შვეიცარია კი 43-ეზე და მხოლოდ თანაჯგუფელ მოლდოვას უსწრებს, იაკობ კუნს არ აღელვებს: „ფიფას რეიტინგი რეალობას არ ასახავს. ჩვენ ასეთ დაბალ ადგილზე იმიტომ ვართ, რომ ევრო 2008-ის შესარჩევში არ გვითამაშია. ორი წლის წინ ოცეულში ვიყავით, მაგრამ ახლა არ გვყავს ისეთი ნაკრები, რომელიც ოცეულში ყოფნას იმსახურებს, თუმცა 43-ე ადგილიც არარეალურია.

ჩემი აზრით, ისრაელში შვეიცარიისთვის ფრე მისაღები შედეგი იქნება. ქულაზე უარს ალბათ ოტმარ ჰიცფელდიც არ იტყვის, რადგან ისრაელი შინ საკმაოდ ძლიერად თამაშობს“.

საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა ლუქსემბურგთან მატჩისთვის მოულოდნელად 20 წლის ნახევარმცველი ვასილიოს პლიაციკასი გამოიძახა, რომელმაც ტრავმირებული იოანის ამანატიდისი უნდა შეცვალოს.

პლიაციკასს ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია და ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი შესაძლოა, დღეს შედგეს. აეკ-ის თავკაცმა გიორგიოს დონისმა ნახევარმცველი კვირას „პანათინაიკოსთან“ დერბიში ათამაშა და პლიაციკასმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „უდიდესი პატივია ნაკრებში გამოძახება — თქვა ფეხბურთელმა — ვიცი, რომ გუნდში საუცხოო განწყობა და ყველა მოგებას ელის. ნდობისთვის ოტო რეჰაგელის მადლობელი ვარ. ნაკრებში გამოძახების გამო მოტივაცია კიდევ უფრო მომემატა“.

ბერძენთა ერთ-ერთი მთავარი კაცი სტელიოს იანაკოპულოსი ნაკრებს მიღმა დარჩა. 34 წლის ფეხბურთელი, ვისაც ელინთა მაისურა 77-ჯერ მოურგია, „ბოლტონიდან“ ამ ზაფხულს წავიდა და ოტო რეჰაგელს მისი დახმარება აღარ სჭირდება. ბერძენთა გერმანელმა თავკაცმა ნაკრებში 18 წლის ნახევარმცველ სოტირიოს ნინისს („პანათინაიკოსი“) და 20 წლის მცველ სოკრატის პაპასტატოპულოსს („ჯენოა“) უხმო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



იოახიმ ლიოვის პრობლემა ლიდერთა ტრავმებია

## ლიოვმა კალენდარი დახია

IV ჯგუფი

**უელსი — აზერბაიჯანი**

**ლიხტენშტაინი — გერმანია**

**გერმანიის** ნაკრებს ბასტიან შვაინშტაიგერის ლიდერობა დასჭირდება ლიხტენშტაინთან მატჩში, რადგან მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ. დღევანდელ შეხვედრას ბუნდესნაკრები ალბათ მოიგებს, მაგრამ მომდევნო თამაშში ფინეთთან უბალაკობა და უფრინგსობა გუნდს დაეტყობა.

შვაინშტაიგერი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ „ჩაქრა" და ევრო 2008-ზე ისევ გაიბრწყინა, თუმც ხორვატებთან „გაგიჟდა" და გააძევეს. მერე მეოთხედფინალში დაბრუნებულმა პორტუგალიასთან საუცხოოდ ითამაშა.

„მე მინდა, რომ სულ უფრო და უფრო კარგად ვითამაშო — თქვა შვაინშტაიგერმა — საქმისადმი მიდგომა შევცვალე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ".

გერმანელთა თავკაცმა იოახიმ ლიოვმა კალენდარი დაიწუნა, რომლის გამოც მის ნაკრებს ორი შესარჩევი მატჩისთვის ფეხბურთელები დააკლდა.

ბუნდესგუნდი დღეს ლიხტენშტაინში ჩავა, ოთხშაბათს კი ფინეთს ბალაკის, ფრინგსის, არნე ფრიდრიხის და პერ მერტეზაკერის გარეშე ეწვევა.

ნერვები მეშლება, რადგან ეს ოთხი გამოცდილი მოთამაშე მჭირდებოდა ამ ორი მატჩისთვის — დაიჩივლა ლიოვმა — იგივე ვითარებაა, რაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ იყო. დიდი ტურნირის შემდეგ ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად ძალიან მცირე დრო აქვთ. იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები ბუნდესლიგაზე გვიან იწყება და მათ უპირატესობა აქვთ. სხვა გზა არ გვაქვს, ამას უნდა შევეგუოთ. ზოგიერთი ფეხბურთელი „გადამწვარია" და ტრავმას უბრალო შეჯახებისას იღებს. მაგალითად, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მერე, ოქტომბერ-ნოემბერში, ათი მოთამაშე დაგვაკლდა".

იოახიმ ლიოვმა დანაკლისის შესავსებად ახალგაზრდებს უხმო — „მიონხენგლადბახიდან" მარკო მარინს, „ჰამბურგიდან" პიოტრ ტროხოვსკისა და „შტუტგარტიდან" სერდარ თაშჯის.

„ოთხი კაცი გვაკლია და მათ ნაცვლად ახალგაზრდები გამოვიძახე, რომლებსაც თავის გამოჩენის შანსი ექნებათ" — აღნიშნა ლიოვმა.

რაკი მიხაელ ბალაკი ტრავმირებულია, კაპიტნის სამკლავურს მიროსლავ კლოზე მოირგებს, რომელმაც ნაკრებში უკვე 82 მატჩი ითამაშა.

უელსის ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა კი აზერბაიჯანთან მატჩის წინ კარგი ამბები შეიტყო. ჯეისონ კუმასი და რობერტ ერნშოუ დღეისთვის სათამაშოდ მზად არიან. კრეიგ ბელამი, დენი გაბიდონი, ჯეიმს კოლინზი, ლევინ ნიატანგა და ფრედი ისტვუდი გუნდს ვერ დაეხმარებიან.

ერნშოუ ალბათ სათადარიგოებში იქნება, კუმასი კი ძირითად შემადგენლობაში, რადგან ბოლო 12 სანაკრებო შეხვედრაში ცხრა გოლი შეაგდო.

კრეიგ ბელამიმ „ვესტ ჰემის" მაისურით პრემიერლიგის გასულ ტურში ბოლო 20 წუთი ითამაშა და გოლიც გაიტანა, მაგრამ ჯონ ტოშაკს მოურიგდა, რომ ნაკრებისთვის და 90 წუთისთვის მზად ჯერ არაა და ამიტომ აზერბაიჯანთან ვერ დაეხმარება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## როგორ დაიწყებს ევროპის ჩემპიონი?

V ჯგუფი

**ესპანეთი — ბოსნია**

**ბელგია — ესტონეთი**

**სომხეთი — თურქეთი**



tve ვისენტე დელ ბოსკე

**ევროპის** მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ბოსნიასთან საშინაო მატჩით იწყებს. ეს პირენეელთა ახალი მთავარი მწვრთნელის ვისენტე დელ ბოსკეს პირველი სერიოზული გამოცდა იქნება.

ესპანელები, სავარაუდოდ, 4-1-4-1 სისტემით ითამაშებენ. გამოკვეთილ ფორვარდად ვალენსიელ დავიდ ვილიას ვიხილავთ. ლუის არაგონესის გუნდთან შედარებით, ერთადერთი თვალსაჩინო ცვლილება, ალბათ, სევილიელი გარემარბის დიეგო კაპელის ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა იქნება.

„ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ და ამან ბევრი რამ შეგვმატა. თუმცა ახლა ყოველივე უნდა დავივიწყოთ და აწმყოზე ვიფიქროთ. ვიცით, რომ რთული მატჩები გველის და თავდაუზოგავი ბრძოლა მოგვიწევს" — თქვა ესპანელთა ნახევარმცველმა მარკოს სენამ.

პირენეელთა რიგებში, სავარაუდოდ, 18 წლის ბარსელონელი ბოიან კრკიჩის დებიუტიც შედგება, რომელიც ტრავმირებული ფერნანდო ტორესის ნაცვლადაა გამოძახებული. ესპანეთს დავიდ სილვაც დააკლდება.

„ჩემთვის უკვე დიდი მიღწევაა ევროპის ჩემპიონებთან ერთად ყოფნა და ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა ზედმეტად აჟიტირებული არ გახლავართ, სიმშვიდეს ვინარჩუნებ. თუ შანსი მომეცემა და ჩემი დებიუტი შედგება, ხომ ძალიან კარგი, თუ არა და, არა უშავს, არ ვნერვიულობ" — განაცხადა კრკიჩმა.

სხვათა შორის, ესპანეთი ბოსნიას 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ჯგუფშიც შეხვდა და ორივე მატჩი ფრედ 1:1 ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ბოსნიელები ევროპის მოქმედ ჩემპიონს ეთამაშებიან და კაპიტანი ემირ სპაჰიჩი აკლიათ, ისინი მაინც იმედიანად არიან.

„მართალია, ევროპის ჩემპიონებს ვეთამაშებით და უმძიმესი ბრძოლა გველის, მაგრამ მაინც მგონია, რაღაც კარგის მიღწევა შეგვიძლია და ეს უნდა ვცადოთ კიდეც. ძალიან მომწონს ჩემი შეგირდების შემართება" — თქვა ბოსნიელთა მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა.

თურქეთის ნაკრებმა ევრო 2008-ზე გმირული თამაშით დაგვამახსოვრა თავი და კინაღამ ფინალშიც გავიდა. თუ რა ფორმაში არიან თურქები ამჟამად, სომხეთში გამოჩნდება, მათ არცთუ იოლი მატჩი ელით, რადგან სომხები ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრ სიურპრიზს გვთავაზობენ.

ხელწამოსაკრავი გუნდი არარც ესტონეთია. ამიტომ, ბელგიას, მშობლიური კედლების მიუხედავად, ადვილი გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს. თუმცა მასპინძლები ფავორიტებად ითვლებიან და ისინი თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებულნიც არიან.

**ძოძი ძანძღაძე**

## ინგლისი ხალხს აღიზიანებს

VI ჯგუფი

**ანდორა — ინგლისი**

**უკრაინა — ბელარუსი**

**ხორვატია — ყაზახეთი**

**საინტერესო** რა არის, იცით? დღეს, ბარსელონაში ანდორა ინგლისს მასპინძლობს. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი საფეხბურთო მატჩია, მაგრამ უკლებლივ ყველა სააგენტო, გაზეთი თუ ინტერნეტ-საიტი ისეთ თემაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც არც ტაქტიკასთან არის დაკავშირებული და არც ტექნიკასთან. დღეს უეინ რუნის ლაზათიანად მისცხებენ — აი, მთავარი თემა.

საქმე კი 18 თვის წინანდელ ბოლმას ეხება. ანდორა და ინგლისი მაშინაც შეხვდნენ ერთმანეთს. ჰოდა, ამდენ ხანში, შესაძლოა, დაგავიწყდათ კიდეც, რომ მაშინ ასეთი რამ მოხდა: ანდორელმა ოსკარ სონეხემ ინგლისელ უეინ რუნისთან „ვერ გაიყო ეს ქვეყანა".

ის თამაში, მაშინ ჯერ კიდევ სტივ მაკლარენის ინგლისმა, 3:0 მოიგო, რუნიმ კი ყვითელი ბარათი მიიღო.

აი, რას ყვება სონეხე: „რუნი მთელი მატჩის განმავლობაში უშვერი სიტყვებით მაგინებდა და მეუბნებოდა, რომ ის ვარსკვლავი იყო, რაც ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვუპასუხე. მას იმდენად ჰქონდა კუდი ყავარზე გადებული, რომ ფიქრობდა, ეს ანდორელები ვინ ოხრები არიანო. ის მეტისმეტად აგრესიული იყო. სულ მლანძღავდა და მეც არ დავრჩენილვარ ვალში, ოღონდ ეგაა, მე ესპანურად ვაგინებდი და ალბათ არ ესმოდა.

ამ შეხვედრაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკური მომზადება იქნება. პირადად მეც შარშანდელზე გაცილებით უკეთ უნდა ვითამაშო. ვიცი, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ ის „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა, მაგრამ ჩემნაირ ადამიანებს მეტოქის ასეთი წარმატება პირიქით, დამატებით სტიმულ აძლევს. რუნი მებრძოლია, მაგრამ არც მე ვარ ნაკლები და შარშანდელივით მენტალურ და ფიზიკურ ზემოქმედებას მოვუწყობ. ვნახოთ, ერთი, როგორ გაართმევს თავს.

საერთოდაც, ინგლისელებს ვაფრთხილებ, საკმარისია ანდორისადმი უპატივცემულობა, რომ დაისჯებიან. როგორც კი ერთი გუნდი მეორეს აბუჩად იგდებს, ვარსკვლავები თვისებებს კარგავენ და ჩვეულებრივი 11 11-ის წინააღმდეგ იწყება, ასეთ თამაშში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

დაბოლოს, იმ შეხვედრაში, მატჩის შემდეგ ჯერმეინ დეფოს გავუცვალე მაისურა, ინგლისელების კაპიტანი ჯონ ტერი კი მოვარდა და დეფოს მაისურა ხელიდან გამომგლიჯა. ვურჩევ, ასეთი რამ არ გაიმეოროს..."

ამავე ჯგუფში ხორვატია ყაზახეთს მასპინძლობს და ინგლისს ემუქრება — რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ხორვატები ყაზახებს სერიოზულ მეტოქედ არ აღიქვამენ და მთელი ფიქრი 10 სექტემბრისკენ აქვთ მიმართული. მერედა, საამისო მიზეზს ინგლისელებიც ფრიად აძლევენ. აი, მაგალითად, „პორტსმუთის" მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ინტერვიუში თქვა, ვერც ერთი ხორვატი ფეხბურთელი ინგლისის ნაკრებში ვერ მოხვდებოდაო, რამაც ხორვატები გააბრაზა. ნიკო კრანჩარმა და ივან კლასნიჩმა რედნაპის ნათქვამზე კომენტარები გააკეთეს.

კრანჩარი: „ნეტავ, რას იტყვის რედნაპი, ჩვენ რომ მოვიგოთ? რომ ვთქვა, ვერცერთი ინგლისელი ხორთვატიის ნაკრების დონეზე ვერ არისო, განა თავად არ გაბრაზდებოდა? რატომ ამბობს ასეთ რამეებს?"

კლასნიჩი: „რედნაპის ნათქვამს ერთ ყურში ვატარებ და მეორედან ვუშვებ. ყველას ახსოვს, როგორ მოვუგეთ ინგლისს ჩვენს ბოლო შეხვედრაში „უემბლიზე", როდესაც ჯგუფში ჩავტოვეთ და ჩვენს გამო ევრო 29008-ზე ვერ წავიდნენ".

**ბაჰუნა ძედია**

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# დომენეკი: ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა


რაიმონ დომენეკი და ტიერი ანრი

**VII ჯგუფი**

**ავსტრია — საფრანგეთი**
**რუმინეთი — ლიტვა**
**სერბეთი — ფარერები**

**ევრო 2008-ზე** განცდილი ფიასკოს მიუხედავად, რაიმონ დომენეკმა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შეინარჩუნა.

ახლა მას კრიტიკოსებისთვის პასუხის გაცემა ავსტრიასთან საგარეო მატჩში წარმატების მიღწევით მოუწევს.

სანაკრებო კარიერა დაასრულეს კლოდ მაკელელემ და ლილიან ტურამმა. იგივე გადაწყვეტილება მიიღო დავიდ ტრეზეგემაც, მაგრამ „იუვენტუსის" ფორვარდმა ისიც თქვა, დომენეკი რომ წავა, დაბრუნებას არ გამოვრიცხავო. პატრიკ ვიეირა, ფრანკ რიბერი და ჰათემ ბენ არფა კი ტრავმირებულნი არიან. ასე რომ, „მამლებს" საკმაოდ რთული მატჩი ელით.

„ეს მებრძოლების მატჩი იქნება. ყველამ ვნახეთ, როგორ ითამაშა ავსტრიამ ევროპის ჩემპიონატზე, ამ ნაკრებს სწრაფი ტემპი და მეტოქეზე ზეწოლა უყვარს. თუმცა აქ ტურისტული მისიით არ ჩამოვსულვართ. თუ ბრძოლასა და ბურთის კონტროლს ვერ შევძლებთ, წარმატების მიღწევის ილუზიაც არ უნდა შევიქმნათ" — თქვა დომენეკმა.

„მამლების" ნახევარმცველი სამირ ნასრი:

„ევროპის ჩემპიონატზე მართლაც ცუდად გამოვედით, მაგრამ დადებითი დასკვნების გამოტანაც შეიძლება. გამოცდილება მივიღეთ და იგივე შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. ახლა გვსურს დავამტკიცოთ, რომ ბევრად მეტი შეგვიძლია და მჯერა, ევრო 2008-სთან შედარებით, ხულ სხვანაირ საფრანგეთს იხილავთ".

„როცა საქმე საფრანგეთს ეხება, ხუმრობა და ზერელე მიდგომა დაუშვებელია, ნაკრები უმთავრესია. თუ კლუბში 100 პროცენტით იხარჯები, ეროვნულ ნაკრებში 300 პროცენტით უნდა დაიხარჯო" — აღნიშნა „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა პატრის ევრამ.

ავსტრიას კი, როგორც მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელი ჰყავს — კარელ ბრიუკნერი. ჩეხეთის ექსთავკაცს ჩინებული დებიუტი ჰქონდა, მისმა შეგირდებმა იტალიასთან 2:2 ითამაშეს, თან 2:0-ს იგებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პირველი, რაც გამოცდილმა სპეციალისტმა გააკეთა, ნაკრების კაპიტნის გამოსავლენად ფეხბურთელებში ჩატარებული მინიარჩევნებია. საბოლოოდ სამკლავური „პანათინაიკოსის" ნახევარმცველმა ანდრეას ივანშიცმა შეინარჩუნა.

რუმინეთის ნაკრები ლიტვას მასპინძლობს და ცხადია, 3 ქულას გეგმავს, მაგრამ ვიქტორ პიცურკას გუნდს ორი ლიდერის, ადრიან მუტუსა და კრისტიან კივუს გარეშე მოუწევს ფონს გასვლა — პირველმა ტრავმა ახლახან მოიშუშა და ჯერ ბოლომდე მზადყოფნაში არ არის, მეორე კი ჯერაც მკურნალობს.

ვიქტორ პიცურკა: „ჩვენი გეგმა ლიტვასთან და ფარერებთან საწყის ორ მატჩში 6 ქულის აღებაა. ამის მერე უფრო მშვიდად შევხვდებით საფრანგეთს. ცხადია, ფრანგები ფავორიტები არიან, მაგრამ ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ჰოლანდია იყო ფავორიტი და პირველზე ჩვენ გავედით. ჯგუფიდან ის გუნდი გადის, რომელიც აუტსაიდერებთან ქულათა მაქსიმუმს აგროვებს და სტაბილურია".

ჯგუფის მეორე მატჩში კი სერბეთი აშკარა აუტსაიდერ ფარერებს მასპინძლობს, უპირობო სამ ქულასაც გეგმავს და ამ გეგმას, წესით, ხელი ვერაფერმა უნდა შეუშალოს.

**გიორგი ძაძამაძე**

# ტრავმები და ოპტიმიზმი შოტლანდიის ბანაკში

**IX ჯგუფი**

**მაკედონია — შოტლანდია**
**ნორვეგია — ისლანდია**

**მე-9 ჯგუფის** პირველ ტურში ფავორიტი ჰოლანდია ისვენებს. სამაგიეროდ, უშეღავათო ბრძოლა იქნება მაკედონია — შოტლანდიისა და ნორვეგია — ისლანდიის მატჩებში.

ოთხივე ამ ნაკრებს გარკვეული პრეტენზია აქვს და ოთხივეს წარმატებული სტარტის ეიმედება.

შოტლანდიის ნაკრებში ტრავმების ეპიდემიაა. ბარი ფერგიუსონი და ალან ჰატონი ისედაც დაშავებულნი იყვნენ, ახლა კი მათ გარი ოკონორი, დევიდ ვეირი, დევიდ მარშალი, კალუმ დევიდსონი, კევინ მაკნოტონი და კევინ ტომსონიც გამოაკლდნენ.

მიუხედავად ამისა, შოტლანდიელთა მენეჯერი ჯორჯ ბარლი იმედიანადაა და ფიქრობს, რომ სქოთებს სკოპიეში სასურველი შედეგის მიღწევა ძალუძთ.

ისე, თუ შოტლანდიელებმა ეს შესარჩევი ეტაპიც ევრო 2008-ის შესარჩევის დარად მძლავრად ჩაატარეს, ჯგუფის სხვა ნაკრებებს კარგი დღე ნამდვილად არ დაადგებათ.

„ტრავმები ისეთი რამაა, რასაც უბრალოდ უნდა შეეგუო. ცოტა იღბალი გჭირდება. ამ მხრივ ჯერჯერობით ნამდვილად არ გვიმართლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვანაირი შემართებით ვითამაშებთ. პირიქით, ვიცით, რომ რთული იქნება, მაგრამ გვჯერა, სასურველი შედეგის მიღწევა შეგვიძლია. ფეხბურთელთა ტრავმები მნიშვნელოვან გავლენას არც ჩვენს ტაქტიკაზე და არც სათამაშო სტილზე მოახდენს" — თქვა ბარლიმ.

მაკედონიელთა ნახევარმცველი ველიჩე შუმულიკოსკი:

„უძლიერეს ჯგუფში ვართ. თუმცა ორი სასტარტო თამაში ბევრს წყვეტს და თუ შოტლანდიასა და ჰოლანდიასთან საშინაო შეხვედრებში რამდენიმე ქულას ავიღებთ, ეს ჯგუფში გარკვეული წარმატების მიღწევის შანსს აუცილებლად მოგვცემს."

**კოკი კანდელაკი**

# დუნგას მოჩვენებითი სიმშვიდე

**სამხრეთ ამერიკა. VII ტური**

**არგენტინა — პარაგვაი**
**ეკვადორი — ბოლივია**
**კოლუმბია — ურუგვაი**
**პერუ — ვენესუელა**
**ჩილე — ბრაზილია**

**სამხრეთ ამერიკის** შესარჩევ ზონაში მე-7 ტურია, რომელმაც, წესით, ბევრი რამ უნდა გამოკვეთოს.

ლიდერი პარაგვაი ბრწყინვალე ფორმაში მყოფ არგენტინულ გუნდს სტუმრობს და მარცხის შემთხვევაში პირველ საფეხურსაც დაუთმობს. როკე სანტა კრუსისა და სალვადორ კაბანიასის ბრწყინვალე პარაგვაული შემტევი წყვილის თამაში საეჭვოა. „ალბისელესტეს" კი ფერნანდო გაგო ჰყავს დისკვალიფიცირებული.

„ყველაფერი მარტივადაა, ჩვენ პირველზე ვართ, ისინი კი მეორეზე და თუ ლიდერობის შენარჩუნება გვინდა, მინდორზე უნდა გავიდეთ და მოვიგოთ. წაგებაზე არც ვფიქრობთ, ჩვეულ სტილში ვითამაშებთ და იმედია, სასურველ შედეგს მივაღწევთ. კარგად დავიწყეთ, მაგრამ მთავარია, ასევე გავაგრძელოთ" — თქვა პარაგვაის ნაკრებისა და მექსიკური „ტოლუკას" მცველმა პაულო და სილვამ.

ძალიან ბევრს წყვეტს ჩილესა და ბრაზილიას შეხვედრაც. „სელესაუს" 6 თამაშიდან მხოლოდ 9 ქულა აქვს და თუ ფეხი ამჯერადაც დაუცდა, კარლოს დუნგას მოხსნის საკითხი ალბათ სერიოზულად წამოიჭრება. თუმცა მწვრნელი სიმშვიდეს ინარჩუნებს.

„ყველაფერი ნორმალურადაა. ბრაზილიას მსგავსი რამ არც პირველად ემართება და არც უკანასკნელად. მთავარია, რომ ნაკრები მუშაობას აგრძელებს და იხვეწება. ზეწოლა არ მაშინებს და არც პრობლემებს მიქმნის. ახლა მხოლოდ ჩილეზე ვფიქრობ" — აღნიშნა დუნგამ.

„დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც ბრაზილიას ბოლოჯერ მოვუგეთ. რამდენჯერმე გავნადგურდით კიდეც. ახლა კი ამ ცუდი შედეგების შეცვლისთვის იდეალური შანსი გვაქვს" — განაცხადა ჩილელმა მცველმა პაბლო კონტრერასმა.

ბრაზილიას ტრავმების გამო კაკა და ანდერსონი ვერ დაეხმარებიან. საინტერესოა ჯერაც დაუმარცხებელი კოლუმბიისა და ურუგვაის მატჩიც. შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევს ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი ნაკრებების შეხვედრები — ეკვადორი-ბოლივია და პერუ-ვენესუელა. თუმცა, ბოლოადგილოსანი პერუელები პირველი გამარჯვების მოპოვებას და ვითარების ოდნავ გამოსწორებას გეგმავენ. მათ კლაუდიო პისარო და ჯეფერსონ ფარფანი დაუბრუნდნენ, რომლებმაც 18-თვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადეს.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| არგენტინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:3 | 11 |
| კოლუმბია | 6 | 2 | 4 | 0 | 4:2 | 10 |
| ჩილე | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| ბრაზილია | 6 | 2 | 3 | 1 | 8:4 | 9 |
| ურუგვაი | 6 | 2 | 2 | 2 | 15:6 | 8 |
| ვენესუელა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| ეკვადორი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| ბოლივია | 6 | 1 | 1 | 4 | 7:17 | 4 |
| პერუ | 6 | 0 | 3 | 3 | 3:15 | 3 |


თუ რონალდინიო და მისი მეგობრები ჩილეშიც ჩაფლავდებიან, კარლოს დუნგას წასვლა მოუწევს



ბრუნო კონტი

# ბეისბოლისტის მოგონებები

**ჩემპიონთა ლიგის ფინალი მომავალ წელს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართება, რომლის ელჩადაც მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ბრუნო კონტი დანიშნეს. მან 18 წელი გაატარა „რომაში“ და მერე ერთი სეზონი (2004-05) დროებითი მწვრთნელი იყო. უეფას ვებგვერდზე ბრუნო კონტის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი გულშემატკივრების შეკითხვებს პასუხობს...**

**— ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომელი გუნდები გავლენ?**

— ფინალში თამაშის ყველაზე დიდი შანსი მათ აქვთ, ვისაც ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ. ფავორიტებად მიმაჩნია „მანჩესტერი“, „ბარსელონა“, „ჩელსი“ და იტალიურებიდან — „ინტერი“.

**— მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატიდან რა გახსენდებათ?**

— ასეთი მომენტები დაუვიწყარია. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საკლუბო დონიდან სანაკრებოზე გადასვლა დიდი ნაბიჯია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა და იქ გამარჯვება ყველასთვის საოცნებოა.

ჩვენ ხომ ბრაზილიის, არგენტინის და გერმანიის უძლიერესი გუნდები დავამარცხეთ, მაგრამ ჩემპიონობით გამოწვეული სიხარული ყოველთვის გადაწონის იმას, თუ ვის მოუგე და ვის შეიძლება შეადარო საკუთარი თავი.

**— რატომაა რომი დიდი საფეხბურთო ქალაქი და რომელიმე რომაულ დერბის თუ გაიხსენებთ?**

— თუ ატმოსფეროზე ვისაუბრებთ, აქ ნამდვილი ფანები ყოველ ნაბიჯზე არიან. ეს განსაკუთრებით იგრძნობა „სტადიო ოლიმპიკოზე“, სადაც ქომაგები ფეხბურთელებს აგულიანებენ.

ჩემი აზრით, აქაური დერბი სხვა ქალაქური დერბებისგან ძალიან განსხვავდება. რაც შეეხება მოგონებებს, 1977 წლის მატჩი მახსენდება, რომელშიც „ლაციო“ ჩემი გოლით დავამარცხეთ.

**— ფეხბურთელობისას სისწრაფით და დრიბლინგით გამოირჩეოდით. საინტერესოა, რას ფიქრობთ კრიშტიანუ რონალდუზე...**

— ხალხს მოსწონს რონალდუს, მესის და რონალდინიოს მსგავსი ფეხბურთელები. ისინი ნიჭით აღწევენ წარმატებას და ჩემი კრედოც ეს იყო. მე მჯეროდა ამისა და ასეთ ფეხბურთელებს ამიტომ ვაფასებ.

**— ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?**

— კლაუდიო ჯენტილეს წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ უტეხი იყო, ძალიან ჭკვიანიც გახლდათ და შეეძლო მეტოქის პროვოცირება. ჯენტილე კარგად დამამახსოვრდა მას შემდეგ, რაც „იუვენტუსს“ ვეთამაშეთ. ნაკრებში ერთად ყოფნისას კი მისგან ბევრი რამ ვისწავლე. თვით დიეგო მარადონასაც კი არ აზარებდა.

**— მართალია, რომ ბეისბოლისტობა გსურდათ?**

— ამ ისტორიაში სიმართლის მარცვალი არის. იტალიის ბეისბოლისტთა უდიდესი კლუბი ჩემს მშობლიურ ქალაქ ნეტუნოშია. ყოველ ზაფხულს ვთამაშობდი და ერთხელ ამერიკის სანტა მონიკას უნივერსიტეტიდან დამიკავშირდნენ. მათთან თამაში და სრული სტიპენდია შემომთავაზეს. მამაჩემმა იუარა და მომდევნო წელს „რომასთან“ კონტრაქტი გავაფორმე.

# სასჯელი და მუქარა

**„ნაპოლის“** ფანებს მთელი სეზონის განმავლობაში აეკრძალათ გუნდის საგარეო მატჩებზე დასწრება და შეიძლოა, „ვეზუვიანის“ რამდენიმე საშინაო შეხვედრის უმაყურებლოდ ჩატარებაც მოუხდეს. თუმცა კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი დაიმუქრა, გადაწყვეტილებას თუ არ შეცვლით, გადავდგები და გუნდში (შესაბამისად, იტალიურ ფეხბურთში), ფულს აღარ ჩავდებო.



„ჯენოას“ ფანები მილანელებთან საომრად ემზადებიან

საქმე ის არის, რომ სერია A-ს პირველ ტურში „ნაპოლი“ თავის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქეს „რომას“ სტუმრობდა. დაახლოებით 1 500 უბილეთო ნეაპოლელი ულტრასი სადგურზე მიიჭრა და აურზაური მოაწყო, მათ უფასოდ მგზავრობა ითხოვეს.

არეულობა რამდენიმე საათს გაგრძელდა. საბოლოოდ სადგურის ხელმძღვანელობას უსაფრთხოების მიზნით ბილეთიანი მგზავრების მატარებლიდან ჩამოსმა მოუხდა და მათ სთხოვეს, შემდეგი მატარებლით იმგზავრეთო. „ნაპოლის“ ულტრასებს კი მატჩზე დააგვიანდათ და მხოლოდ მეორე ტაიმს ჩაუსწრეს, რამაც ისინი საბოლოოდ გააცოფა.

ულტარსებმა მსგავსი აურზაური რომის სადგურშიც მოაწყვეს და უკანაც უბილეთოდ იმგზავრეს. ამის გამო, სარკინიგზო კომპანიამ დაახლოებით 450 ათასი ევრო იზარალა.

ამ ყველაფრის გამო, იტალიური ფეხბურთის მამებმა „ნაპოლისა“ და მისი ფანების მკაცრად დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ დე ლაურენტისი გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს.

„ასეთი სასჯელი დიდი უსამართლობაა კლუბისა და მისი ქომაგების მიმართ. ამას ვერ შევეგუებით. იმ ხულიგნების ჯგუფს „ნაპოლის“ ფანებთან არანაირი კავშირი არ აქვს. ჩვენი ნამდვილი გულშემატკვრები სულ სხვანაირნი არიან. სწორია, რომ დამნაშავეები ისჯებიან, მაგრამ გუნდი და მისი მრავალრიცხოვანი დი ჭეშმარიტი ფანები არაფერშუაში არიან. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცვალოს, თორემ ალბათ პოსტის დატოვება მომიწევს. იმედია, მომხდარს ყველა კარგად გაიაზრებს. „სტადიო სან პაოლოზე“ ქომაგების არშეშვება ხომ საერთოდ აბსურდია“ — თქვა დე ლაურენტისმა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ სერია A-ს მეორე ტურში „მილანის“ ქომაგები „ჯენოასთან“ გასვლით მატჩს ვერ დაესწრებიან. „როსონერის“ გულშემატკივრებს გენუელთა ულტრასების მხრიდან თავდასხმა ემუქრებოდათ და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღეს.

1995 წელს „ჯენოასა“ და „მილანის“ ფანების შეხლა-შემოხლისას გენუელი გულშემატკივარი ვინჩენცო სპანიოლი მოკლეს და მას მერე ამ ორ კლუბს შორის ყოველი შეხვედრა სახიფათო და დაძაბულია.

**გიორგი ძაძამიძე**

# დახვეწილი და ძლიერი ულამაზეს ქალაქში



ტიაგუ ნევეში

**დახვეწილი** პასით და უძლიერესი დარტყმით გამორჩეული, 23 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი ტიაგუ ნევეში „ფლუმინენსედან“ „ჰამბურგში“ გადავიდა.

„ძალიან მიხარია, რომ კარიერას ამ გუნდში გავაგრძელებ — თქვა ნევეშმა — დიდი ბრაზილიური კლუბიდან დიდ გერმანულ კლუბში აღმოვჩნდი.

ჩემით სხვა ევროპული გუნდებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მათ შორის „მანჩესტერ სიტი“, მაგრამ მე ჰამბურგი ვარჩიე, რადგან რიო დე ჟანეიროსავით დიდი ქალაქია. აქ ჩემი რამდენიმე მეგობარი თამაშობს და ისინი მიყვებოდნენ ქალაქზე და კლუბზე.

ბრაზილიაში ბუნდესლიგის მატჩებს არ აჩვენებენ, მაგრამ როგორც კი „ჰამბურგსა“ და „ფლუმინენსეს“ შორის მოლაპარაკება დაიწყო, მაშინვე დავინტერესდი ამ გუნდით და მისი წარსულით. ჯერჯერობით რაც ვნახე, შემიძლია ვთქვა, რომ „ჰამბურგში“ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

ცენტრალური ნახევარმცველი ვარ, მაგრამ ნებისმიერ ფლანგზე თამაშიც მეხერხება, თუმც რასაც მწვრთნელი დამავალებს, იმას შევასრულებ.

ვან დერ ვაარტს მადარებენ. ის დიდებული ფეხბურთელია და ამიტომაც გადავიდა „რეალში“. შევეცდები, რომ მასსავით სასარგებლო ვიყო და აქაურ ფანებს თავი შევაყვარო.

27-ნომრიანი მაისურა მომცეს და ვიცი, რომ ამ ნომრით ადრე როდოლფო კარდოსო თამაშობდა, რომელსაც ქომაგები დიდად აფასებდნენ. ვიმედოვნებ, რომ „ჰამბურგს“ ამ მაისურით გამარჯვებების მოპოვებაში დავეხმარები. იმის ნახევარსაც თუ მივაღწევ, რაც კარდოსომ შეძლო, უზომოდ ბედნიერი ვიქნები. ეს ნომერი იმიტომ ავირჩიე, რომ 27 თებერვალს დავიბადე.

ალექს სილვას ოლიმპიადაზე დავუმეგობრდი და სასიამოვნოა, რომ ამ კლუბში მეგობარი მეყოლება.

ჯერ ნახევარი ჰამბურგიც არ დამითვალიერებია, მაგრამ გეტყვით, რომ ეს გერმანიის ულამაზესი ქალაქია“.

**გაგა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროვო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 101 | ტრანმერი-ოლდემი | 2.45 | 3.30 | 2.70 | 1.40 | 1.28 | 1.48 |
| 18:00 | 102 | ბრაიტონი-სკანთორპი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 18:00 | 103 | უოლსოლი-ლეიტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 104 | კარლაილი-საუთენდი | 1.80 | 3.40 | 4.25 | 1.17 | 1.26 | 1.88 |
| 18:00 | 105 | ჩელტენემი-ჰადერსფილდი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 18:00 | 108 | ლიდსი-ქრიუ | 1.55 | 3.70 | 6.00 | 1.09 | 1.23 | 2.28 |
| 18:00 | 109 | მილუოლი-ჰარტლპული | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 110 | დონსი-იოვილი | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 15:15 | 111 | პიტერბრო-როვერსი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 112 | ნოტსი-ბორნმუთი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 113 | პორტ ვეილი-ბრედფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 114 | ალდერშოტი-დარლინგტონი | 2.50 | 3.30 | 2.65 | 1.42 | 1.28 | 1.46 |
| 18:00 | 115 | როჩდეილი-უიკომბი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 116 | ბრენტფორდი-დაგ ენდ რედი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.31 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 117 | ჩესტერი-ბერი | 3.00 | 3.30 | 2.20 | 1.57 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 118 | ჩესტერფილდი-როტერჰემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 119 | ექსეტერი-აკრინგტონი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 18:00 | 120 | ჯილინგემი-გრიმსბი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 18:00 | 121 | ლინკოლნი-ბარნეტი | 1.95 | 3.30 | 3.85 | 1.22 | 1.29 | 1.77 |
| 18:00 | 122 | მაკლსფილდი-ლუტონი | 3.25 | 3.20 | 2.10 | 1.61 | 1.27 | 1.26 |
| 18:00 | 388 | მორიკომბი-შრიუსბერი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 420 | ალტრინჰემი-სალისბერი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 421 | კემბრიჯი-რექსემი | 2.25 | 3.30 | 3.00 | 1.33 | 1.28 | 1.57 |
| 18:00 | 422 | ფორესტ გრინი-ებსფლითი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 423 | ლეი-ბაროუ | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 424 | მენსფილდი-ისტბორნი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 425 | ოქსფორდი-კეტერინგი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 18:00 | 426 | რაშდენი-ქროული | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 18:00 | 427 | სტივენეიჯი-ბარტონი | 2.35 | 3.30 | 2.80 | 1.37 | 1.27 | 1.51 |
| 18:00 | 428 | ვეიმუთი-ჰისტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 429 | იორკი-უოკინგი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 430 | გრეისი-კიდერმინსტერი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 17:00 | 431 | ტორკი-ნორთვიჩი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი სამ** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 445 | უიმბლდონი-უესტონი | 1.45 | 3.70 | 5.75 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 18:00 | 446 | ბიშოპი-ბეისინგსტოკი | 1.75 | 3.40 | 3.85 | 1.15 | 1.20 | 1.80 |
| 18:00 | 447 | ჩემსფორდი-ბონგორი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 18:00 | 448 | იხტლი-ბრეინთრი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 449 | ჰემპტონი-ბრომლი | 1.15 | 3.40 | 2.75 | 1.31 | 1.20 | 1.52 |
| 18:00 | 450 | ჰევანტი-ბეთი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 451 | ჰაიესი-თაროკი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 18:00 | 452 | თიმ ბეთი-სტ ალბანსი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 18:00 | 453 | უელინგი-დორჩესტერი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| 18:00 | 454 | უორჩესტერი-ფიშერი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი ჩრდ** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 455 | ფარსლი-სტელიბრიჯი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 456 | გეითშედი-სტეფორდი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 18:00 | 457 | ჰაკნალი-ბარსკო | 2.25 | 3.40 | 2.60 | 1.35 | 1.20 | 1.47 |
| 18:00 | 458 | ჰაიდე-ჰინკლი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 459 | კინგ ლინი-ფლითვუდი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 460 | სოლიჰალი-დროილსდენი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |
| 18:00 | 461 | საუთპორტი-ალფრეტონი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 18:00 | 462 | ტემუორთი-ჰეროგეიტი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1:37 |
| 18:00 | 463 | ვაუქსჰალი-ბლითი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 464 | უოკინგტონი-რედიჩი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| | | **უელსი. 1 ლიგა** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 94 | ნიუთაუნი-ტნს | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 22:30 | 95 | ნით ათლეტიკი-ბანგორი | 4.35 | 3.70 | 1.65 | 1.99 | 1.19 | 1.14 |
| 22:30 | 96 | ლანელი-აირბასი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:30 | 97 | პორტ ტალბოტი-კონან ქვეი | 1.75 | 3.60 | 3.75 | 1.17 | 1.19 | 1.83 |
| | | **ჩრდ.ირლანდია. 1 ლიგა** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 124 | დანგანონი-დისტილერი | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 18:00 | 125 | კრუსადერსი-კოლრეინი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 126 | ნიური-კლიფტონვილე | 3.25 | 3.20 | 2.05 | 1.61 | 1.25 | 1.24 |
| 17:00 | 127 | ინსტიტუტე-ბელიმენა | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 18:00 | 128 | გლენტორანი-ბონგორი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 441 | ჰერტა მ-ვილჰელმშავენი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 442 | ნიურნბერგი მ-ვიქტორია | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 443 | მანჰეიმი-დარმშტადტი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| | | **ავსტრია. დასავლეთი** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 480 | რეიხენაუ-ფელდკირხი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 133 | ანკონა-ასკოლი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:45 | 134 | ლივორნო-მანტოვა | 1.80 | 3.00 | 4.55 | 1.12 | 1.28 | 1.80 |
| 17:00 | 136 | გროსეტო-პიაჩენცა | 1.90 | 3.00 | 3.85 | 1.16 | 1.27 | 1.68 |
| 17:00 | 138 | ფროზინონე-ბარი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 17:00 | 139 | ტრიესტინა-აველინო | 1.65 | 3.10 | 5.15 | 1.07 | 1.24 | 1.93 |
| 17:00 | 140 | ჩიტადელა-სალერნიტანა | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 17:00 | 143 | რიმინი-მოდენა | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 137 | ვიჩენცა-ემპოლი | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 144 | ლეკო-ლენიანო | 2.25 | 2.70 | 3.50 | 1.22 | 1.36 | 1.52 |
| 17:00 | 145 | მონცა-ნოვარა | 2.25 | 2.70 | 3.40 | 1.22 | 1.35 | 1.50 |
| 17:00 | 146 | პადოვა-ლუმეცანე | 1.55 | 3.00 | 6.00 | 1.02 | 1.23 | 2.00 |
| 17:00 | 147 | პორტოგუარო-პრო სესტო | 2.15 | 2.70 | 3.70 | 1.19 | 1.35 | 1.56 |
| 17:00 | 148 | რავენა-ჩეზანა | 2.15 | 2.70 | 3.70 | 1.19 | 1.35 | 1.56 |
| 17:00 | 149 | რეჯანა-პრო პატრია | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 150 | სამბენედეტეზე-პერგოკრემა | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 17:00 | 152 | კრემონეზე-ვენეცია | 1.90 | 2.80 | 4.65 | 1.13 | 1.34 | 1.74 |
| | | **8 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 151 | ვერონა-სპალი | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 153 | ჩავეზე-პერუჯა | 2.50 | 2.70 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 17:00 | 154 | ფოლინიო-ტარანტო | 2.25 | 2.70 | 3.50 | 1.22 | 1.36 | 1.52 |
| 17:00 | 155 | სტაბია-ტერნანა | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 156 | პესკარა-ფოჯა | 1.90 | 2.80 | 4.25 | 1.13 | 1.31 | 1.68 |
| 17:00 | 157 | პისტოიეზე-კროტონე | 2.55 | 2.70 | 2.90 | 1.31 | 1.35 | 1.39 |
| 17:00 | 158 | პოტენცა-გალიპოლი | 2.50 | 2.70 | 2.85 | 1.29 | 1.33 | 1.38 |
| 17:00 | 160 | სორენტო-არეცო | 2.35 | 2.70 | 3.20 | 1.25 | 1.35 | 1.46 |
| 17:00 | 161 | ბენევენტო-ლანჩანო | 1.70 | 2.90 | 5.50 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 162 | სარაგოსა-სოსიედადი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 20:30 | 169 | ჰერკულესი-ვალეკანო | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 163 | სერესი-ალბასეტე | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 20:30 | 164 | ლას პალმასი-ელჩე | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 21:00 | 165 | სევილია ბ-სალამანკა | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 20:00 | 166 | ეიბარი-ტენერიფე | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 21:00 | 167 | ალავესი-კორდობა | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 19:00 | 168 | ტარაგონა-უესკა | 1.80 | 3.00 | 4.60 | 1.12 | 1.29 | 1.81 |
| 19:00 | 170 | კასტელონი-სელტა | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:00 | 171 | მურსია-ლევანტე | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 19:00 | 172 | ხირონა-ალიკანტე | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| | | **ესპანეთი. სეგუნდა B I ჯგუფი** | | | | | | |
| | | **6 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 521 | დეპორტივო ბ-სესტაო რივერი | 1.75 | 3.10 | 4.35 | 1.11 | 1.24 | 1.81 |
| 20:00 | 522 | ბილბაო ბ-სიუდად ს | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 523 | ვალიადოლიდი ბ-ლეონესა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 13:45 | 524 | სპორტინგი ბ-ზამორა | 2.25 | 3.00 | 2.35 | 1.28 | 1.14 | 1.31 |
| 14:00 | 525 | სელტა ბ-გიხუელო | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 14:00 | 526 | რასინგი ბ-ლემონა | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 20:00 | 527 | ბარაკალდო-ლუგო | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 20:00 | 528 | მარინო-ფეროლი | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 20:00 | 529 | პონტევედრა-სოსიედადი ბ | 1.50 | 3.30 | 6.00 | 1.03 | 1.20 | 2.12 |
| 21:00 | 530 | პონფერადინა-რეალ უნიონი | 1.60 | 3.20 | 5.00 | 1.06 | 1.21 | 1.95 |
| | | **ესპანეთი. სეგუნდა B II ჯგუფი** | | | | | | |
| | | **7 სექტემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 531 | ალკორკონი-ალფარო | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 14:00 | 532 | ატლეტიკო ბ-კარტახენა | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 14:00 | 533 | ლეგანიესი-ლანსაროტე | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 14:00 | 534 | ლორკა-უნივერსიდად ლას პალმასი | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 14:00 | 535 | მერიდა-პლაიასი | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| 14:00 | 536 | სანტა ბრიგიდა-ნავალკარენო | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 15:00 | 537 | ლას პალმასი ბ-სიუდად ლორკი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 538 | რეალ მად კასტილია-სანგონერა | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 19:30 | 539 | აგილასი-მურსია ბ | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| 20:30 | 540 | ფუერტევენტურა-ვეცინდარიო | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი. სეგუნდა B III ჯგუფი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 541 | ოსასუნა ბ-სანტ ანდრე | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 14:00 | 542 | ალკოიანო- ეულალია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 14:00 | 543 | დენია-ბალეარესი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 14:00 | 544 | ვილიარეალი ბ-ლეიდა | 2.10 | 3.00 | 2.85 | 1.23 | 1.20 | 1.46 |
| 14:00 | 545 | გავა-ოტინიენტი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 14:00 | 546 | იბისა ეივისა-ბენიდორმი | 2.10 | 3.00 | 2.85 | 1.23 | 1.20 | 1.46 |
| 20:00 | 547 | ბადალონა-საბადელი | 2.20 | 3.00 | 2.80 | 1.26 | 1.23 | 1.44 |
| 20:00 | 548 | ბარსელონა ბ-ატლ გრამენეტი | 2.10 | 3.00 | 2.85 | 1.23 | 1.20 | 1.46 |
| 21:00 | 549 | ვალენსია ბ-ალზირა | 2.10 | 3.00 | 2.85 | 1.23 | 1.20 | 1.46 |
| 21:00 | 550 | ტერასა-ორიჰუელა | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| | | ესპანეთი. სეგუნდა B IV ჯგუფი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 551 | პუერტოლიანო-ლინარესი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 13:30 | 552 | ბეტისი ბ-პორტუენსე | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 14:00 | 553 | ლუსენა-მელილა | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 554 | რეალ ხაენი-რეალ ლინესი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 21:00 | 555 | კადისი-გრანადა 74 | 1.70 | 3.25 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.85 |
| 21:00 | 556 | ეხიდო-გუადალახარა | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 21:30 | 557 | მარბელა-როკეტასი | 1.90 | 3.10 | 3.60 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| 22:00 | 558 | ატექუერა-კონქუენსე | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 22:00 | 559 | სეუტა-ესიხა | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.17 | 1.23 | 1.64 |
| 23:00 | 560 | გრანადა-სან ფერნანდო | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 432 | ეუპენი-ოსტენდე | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 17:00 | 433 | დაინცე-ტურნაი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 17:00 | 434 | ლომელი-ნამური | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 17:00 | 435 | ბევერენი-ვიგორი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 17:00 | 436 | რონსე-ანტვერპენი | 2.90 | 3.20 | 2.10 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| 17:00 | 437 | ტინენი-ვაასლანდი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 17:00 | 438 | ბრიუხელი-პევერლე | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 17:00 | 439 | ვირტონი-ოლიმპიკი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 17:00 | 440 | ლიერსი-სტანდარდი | 1.70 | 3.40 | 4.55 | 1.13 | 1.23 | 1.94 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 16:30 | 193 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 12:15 | 199 | სპარტა პრაღა-ვიტკოვიცე | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 19:00 | 201 | ფულნეკი-ოლომოუცი | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 19:00 | 202 | კარვინა -სოკოლოვი | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |
| 21:00 | 203 | სლოვაცკო-ჩახლავი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 205 | ოპავა-ტრინეცი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 198 | უსტი-იპლავა | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 19:00 | 200 | ბოჰემიანსი(პრაღა)-მოსტი | 1.70 | 3.40 | 4.25 | 1.13 | 1.21 | 1.88 |
| 19:00 | 204 | პრადეც კრალოვე-დუკლა პრაღა | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 397 | ფრედერისია-ლიუნგბიუ | 2.25 | 3.50 | 2.70 | 1.36 | 1.22 | 1.52 |
| 15:00 | 398 | ფრემადი-აკადემისკი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 15:00 | 399 | ჰვიდოვრე-როსკილდე | 1.70 | 3.80 | 3.90 | 1.17 | 1.18 | 1.92 |
| 15:00 | 400 | სილკებორგი-ჰერფიოლგე | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 17:00 | 401 | სკივე-ნესტვედი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 17:00 | 402 | ლოლანდი-ტისტედი | 2.25 | 3.40 | 2.70 | 1.35 | 1.22 | 1.50 |
| 17:00 | 403 | კიოგე-ვიბორგი | 15.00 | 7.00 | 1.12 | 4.77 | 1.04 | 1.00 |
| | | დანია. II დივიზიონი ალმ | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 15:00 | 481 | ბ 93 კოპენჰაგენი-ვერლოსე | 1.40 | 4.50 | 4.90 | 1.06 | 1.08 | 2.34 |
| 17:00 | 482 | სკიოლდი-გრევე | 2.35 | 3.30 | 2.45 | 1.37 | 1.19 | 1.40 |
| 17:00 | 483 | სტენლოსე-ბრიონსჰიოი | 3.50 | 3.70 | 1.70 | 1.79 | 1.14 | 1.16 |
| 17:00 | 484 | ვანლოსე-სოლეროდი | 1.80 | 3.60 | 3.30 | 1.20 | 1.16 | 1.72 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 15:00 | 485 | ავარტა-სკოვლუნდე | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |
| | | დანია. II დივიზიონი დას | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 486 | ორჰუსი ფრემადი-ჰიორინგი | 1.50 | 4.00 | 4.70 | 1.09 | 1.13 | 2.16 |
| 17:00 | 487 | ვერდე-ბრაბრანდი | 3.90 | 3.80 | 1.60 | 1.92 | 1.13 | 1.12 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 212 | ოდ გრენლანდი-კონგსვინგერი | 1.25 | 6.00 | 9.00 | 1.03 | 1.09 | 3.59 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 207 | ლოვ ჰამი-ნიბერგსუნდი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 208 | ალტა-მოსი | 2.80 | 3.40 | 2.20 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 209 | ჰოდი-ჰაუგესუნდი | 3.10 | 3.40 | 2.10 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 18:00 | 211 | ნოტოდენი-სოგნდალი | 2.05 | 3.40 | 3.20 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 214 | სარპსბორგი-ბრინი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 223 | დეგერფორსი-მიალბი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 224 | ბუნკეფლო-ასირისკა | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 225 | სირიუსი-ქვიდინგი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 226 | იონკოპინგი-პეკენი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 21:00 | 227 | ატვიდაბერგი-ფალკენბერგი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 232 | ჰკ 35-ვიიკინგიტი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 16:00 | 233 | ოულუ-ჯიპო | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 16:00 | 234 | კაპა-ტამპერე | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 16:00 | 235 | ტპ 47-იუვასკილა | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 16:00 | 236 | გრანკულა-ატლანტისი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.48 |
| 19:30 | 237 | ჰამენლინა-კემი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 06:00 | 246 | სან ხოსე-ვაშინგტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 06:30 | 247 | ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 03:30 | 249 | კოლუმბუსი-ნიუ ინგლენდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 04:30 | 250 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 23:00 | 251 | ჰიუსტონი-კანზასი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 01:20 | 259 | კურიტიბა-ბოტაფოგო | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 01:20 | 260 | ნაუტიკო-იპატინგა | 1.70 | 3.40 | 4.55 | 1.13 | 1.23 | 1.94 |
| 01:20 | 261 | ფლუმინენსე-გრემიო | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 01:20 | 263 | ინტერნასიონალი-პორტუგესა | 1.35 | 4.10 | 8.30 | 1.01 | 1.16 | 2.74 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 1 | მაკედონია-შოტლანდია | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 18:00 | 2 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 19:00 | 3 | პოლონეთი-სლოვენია | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 19:30 | 4 | სლოვაკეთი-ჩრდ. ირლანდია | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 5 | მოლდოვა-ლატვია | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 20:00 | 6 | სომხეთი-თურქეთი | 7.00 | 3.60 | 1.40 | 2.37 | 1.16 | 1.00 |
| 22:00 | 7 | მალტა-პორტუგალია | 17.00 | 7.50 | 1.08 | 5.20 | 1.01 | 1.00 |
| 22:15 | 8 | ხორვატია-ყაზახეთი | 1.06 | 8.00 | 25.00 | 1.00 | 1.01 | 6.06 |
| 21:00 | 9 | ნორვეგია-ისლანდია | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 21:00 | 10 | უკრაინა-ბელარუსი | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| 21:45 | 11 | უნგრეთი-დანია | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 21:55 | 12 | ისრაელი-შვეიცარია | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:15 | 13 | ლუქსემბურგი-საბერძნეთი | 19.00 | 8.50 | 1.07 | 5,87 | 1.01 | 1.00 |
| 22:45 | 14 | ლიხტენშტაინი-გერმანია | 25.00 | 10.00 | 1.03 | 7.14 | 1.00 | 1.00 |
| 22:00 | 15 | ანდორა-ინგლისი | 40.00 | 10.00 | 1.02 | 8.00 | 1.00 | 1.00 |
| 22:00 | 16 | რუმინეთი-ლიტვა | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 22:15 | 17 | სერბეთი-ფარერები | 1.02 | 11.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.04 |
| 22:00 | 18 | ჩერნოგორია-ბულგარეთი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 22:30 | 19 | ავსტრია-საფრანგეთი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 22:45 | 20 | ბელგია-ესტონეთი | 1.25 | 4.70 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.29 |
| 20:45 | 21 | ალბანეთი-შვედეთი | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 22:00 | 22 | კვიპროსი-იტალია | 12.00 | 6.20 | 1.15 | 4.08 | 1.04 | 1.00 |
| 23:00 | 54 | არგენტინა-პარაგვაი | 1.40 | 4.00 | 7.80 | 1.03 | 1.18 | 2.64 |
| 22:15 | 561 | საამიროები-ჩრდ კორეა | 2.15 | 3.10 | 3.40 | 1.26 | 1.31 | 1.62 |
| 23:00 | 562 | ყატარი-უზბეკეთი | 2.45 | 3.10 | 2.75 | 1.36 | 1.29 | 1.45 |
| 22:30 | 563 | ბაჰრეინი-იაპონია | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 23:15 | 564 | საუდ არაბეთი-ირანი | 2.05 | 3.10 | 3.25 | 1.23 | 1.25 | 1.58 |
| 17:00 | 565 | სამ აფრიკა-ნიგერია | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 00:00 | 23 | ესპანეთი-ბოსნია ჰერცოგოვინა | 1.15 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.19 |
| 01:10 | 56 | ეკვადორი-ბოლივია | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 02:05 | 58 | კოლუმბია-ურუგვაი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 04:30 | 59 | პერუ-ვენესუელა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:30 | 566 | კონგო-მალი | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| | | 8 სექტემბერი | | | | | | |
| 04:00 | 60 | ჩილე-ბრაზილია | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 419 | ჰოლანდია-ავსტრალია | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 18:00 | 384 | კლაიდი-როსი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 18:00 | 385 | ლივინგსტონი-პარტიკი | 2.05 | 3.40 | 3.00 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 18:00 | 386 | ქუინი-მორტონი | 1.65 | 3.50 | 4.35 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| 18:00 | 387 | კოუდენბითი-ერდრი | 3.50 | 3.50 | 1.85 | 1.75 | 1.21 | 1.21 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 13:00 | 567 | ოიტა-ნაგოია | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 568 | გამბა-შიმიცუ | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 19:00 | 509 | მიკულაში-სლოვაკია 20 | 1.20 | 6.00 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 3.23 |
| 19:00 | 511 | ჟილინა-ნიტრა | 1.65 | 4.20 | 3.30 | 1.18 | 1.10 | 1.84 |
| 19:00 | 512 | ბისტრიცა-კეჟმაროკი | 1.70 | 4.10 | 3.20 | 1.20 | 1.11 | 1.79 |
| 19:00 | 513 | მარტინი-ტრენჩინი | 1.70 | 4.00 | 3.10 | 1.19 | 1.09 | 1.74 |
| 19:00 | 514 | კოშიცე-სლოვანი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 21:30 | 306 | ფივერზი-ლეობენი | 1.05 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 21:00 | 309 | კრემზი-გენსერნდორფი | 1.08 | 12.00 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 4.61 |
| 21:30 | 312 | ალფა გარდი-ინსბრუკი | 1.15 | 12.00 | 5.30 | 1.04 | 1.00 | 3.67 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 6 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 572 | სტრალსუნდერი-ლემგო | 5.50 | 12.00 | 1.15 | 3.77 | 1.00 | 1.04 |
| 17:00 | 573 | გუმერსბახი-ნორდჰორნი | 1.60 | 9.00 | 2.50 | 1.35 | 1.00 | 1.95 |
| 17:00 | 574 | ბელინგენი-კილი | 12.00 | 13.00 | 1.02 | 6.23 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 575 | მელსუნგენი-გოპინგენი | 1.65 | 9.00 | 2.40 | 1.39 | 1.00 | 1.89 |
| 19:00 | 576 | დორმაგენი-მაგდებურგი | 2.80 | 9.00 | 1.50 | 2.13 | 1.00 | 1.28 |
| 21:00 | 577 | ვეტცლერი-ბერლინი | 1.60 | 9.00 | 2.50 | 1.35 | 1.00 | 1.95 |
| 21:00 | 578 | ესენი-გროსვალშტადტი | 2.85 | 10.00 | 1.45 | 2.21 | 1.00 | 1.26 |
| | | 7 სექტემბერი | | | | | | |
| 17:00 | 579 | მინდენი-ფლენსბურგი | 10.00 | 12.00 | 1.03 | 5.45 | 1.00 | 1.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიური ჩემპიონები: რევაზ მინდორაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია



გიორგი გოგშელიძეს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა

# რაც ალალია, ალალია!

## ღმერთა ოქრო და ჭერი მოგცეთ

**ჩვენი** ოლიმპიური ჩემპიონებიდან ირაკლი ცირეკიძე ქუთაისელია, მანუჩარ კვირკველია ოზურგეთელი, რევაზ მინდორაშვილი გურჯაანელი, კოლაგელი კაცია...

სხვათა შორის, აქამდე ყველაზე ცნობილი კოლაგელი გივი ბერიკაშვილი იყო, ახლა კი ამ ამბავში კონკურენტი გამოუჩნდა და თავად ბატონი გივიც არ არის წინააღმდეგი, პირიქით.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ სამშენებლო კომპანია „აქსისმა“ ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს გუშინ თბილისში მშენებარე კომპლექსში, „დიდუბის სამ ეზოში“ ბინები აჩუქა და საამისო საბუთები სათაო ოფისში სპორტსმენებს გადასცა.

„ამ ძნელბედობის ჟამს, ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა და პრიზიორებმა საქართველო ასახელეს. განსაკუთრებული მადლობა გიორგი გოგშელიძეს და ოთარ თუშიშვილს, რადგან სწორედ მაშინ მოიპოვეს მედლები, როდესაც მათი მშობლიური ქალაქი იბომბებოდა. მოხარული ვართ, რომ გვაქვს საშუალება წავახალისოთ ეს ბიჭები, ცხოვრებისთვის საუკეთესო გარემო შევუქმნათ. ჩვენ, როგორც ოლიმპიური ნაკრების სპონსორები, მზად ვართ, კიდევ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი საქართველოში სპორტის განვითარებას. დარწმუნებული ვართ, კიდევ მეტი გამარჯვება და წარმატება გველის“ — განაცხადა „აქსისის“ დირექტორმა გიორგი კაპანაძემ.

ჩვენს ოლიმპიელებზე დიახაც რომ ალალია ბინები და ის მილიონი ლარიც, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პეკინში გამგზავრებამდე რომ დაპირდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონებს. მაგრამ უფრო ამაღელვებელი და დასაფასებელი გუშინ ის იყო, რომ „აქსისმა“ არც გორელი ვაჟკაცი გიორგი გოგშელიძე დაივიწყა, რომელიც პეკინში ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ცალი თვალით მოგებული ბრინჯაო ოქროსავით დაუფასდა.

„აქსისმა“ გოგშელიძე ჩემპიონებიდან არ გამოარჩია და იმავე კორპუსში აჩუქა ბინა და დიდი ხნის ოცნება აუსრულა გიორგის...

ოთხი წლის წინ, ათენის ოლიმპიადის შემდეგ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა „მამლუქების“ დაბრუნება გადაწყვიტა და მათ ყველანაირ პირობებს დაპირდა, გიორგი გოგშელიძე ერთ-ერთი პირველი იყო, რუსეთის სახელით ჭიდაობა რომ აღარ ისურვა, საქართველოში დაბრუნდა, გორში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და თბილისში სავარჯიშოდ სიარულიც უჭირდა.

პრეზიდენტის დაპირება კი ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე სერიალივით გაიწელა. მაშინ ჩვენ ვცადეთ საქმეში გარკვევა, მაგრამ ჭიდაობის ფედერაციიდან დაწყებული სპორტის სამინისტროთი და პარლამენტით დამთავრებული ყველა ერთმანეთთან გვამისამართებდა და მიზეზ-მიზეზ და დღეს-ხვალ ძახილით ოთხმა წელიწადმა გაირბინა. ამ პერიოდში კი თურმე საქართველოს პრეზიდენტმაც არ იცოდა, რომ მისი განკარგულება არ სრულდებოდა, რადგან როდესაც ჩვენი ოლიმპიელები ავლაბრის რეზიდენციიდან პეკინში გააცილა, მაშინ გაიგო, რომ გიორგი გოგშელიძე ისევ თავისივე ფულით ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა...

პეკინიდან დაბრუნებული გიორგი გოგშელიძეს მამა გარდაეცვალა და გორი დაბომბილი დახვდა... დაბომბილი გორი დახვდა მეორე ბრინჯაოსმედალოსან ოთარ თუშიშვილსაც, ვისაც გუშინ ბინა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა გოგი თოფაძემ აჩუქა...

**ბაჩო სვანიძე**



სეოკ-ის პრეზიდენტი გოგი თოფაძე და ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი



# ლიგას, თასის და ჩემპიონატის ქართველს ყველგან ეთამაშება

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ ჭანტურიამ მაკედონიურ „მეტალურგთან" ამ ზაფხულს კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა და განახლებულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. სწორედ ლიგაში თამაშის პერსპექტივა იყო ის მთავარი ფაქტორი, რამაც ქართველს სკოპიურ გუნდში დარჩენა გადააწყვეტინა. თუმცა ვიდრე ჭანტურიას გუნდი ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შეაბიჯებს, თურქული „იზმირის" ბარიერი უნდა გადალახოს.

„მეტალურგი" თურქებს დღეს სტუმრად დაუპირისპირდება, მანამდე კი რეზოს მაკედონიაში შევეხმიანეთ. ვარჯიშიდან ახალი დაბრუნებული უკვე თურქეთში წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ დროჩვენთვისაც გამონახა...

— მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად მოვილიეთ. ბევრი ამხანაგური თამაში გვქონდა, ვიყავით ხორვატიაში და სლოვენიაშიც. მწვრთნელი ერთთავად შემადგენლობის ვარირებას ახდენდა. ძირითადი ბირთვის ძებნაში იყო. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, საშუალოდ 4-5 გოლიც გამქონდა, თუმც მეტი მინდა, კიდევ უნდა მოვუმატო.

ამხანაგურ ტურნირებზე თამაში სისტემატურად მიწევდა, უფრო კი ჩემი მოედანზე ყოფნა იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ წამივიდოდა თამაში. ასეა, მწვრთნელმა თუ შეგატყო, რომ შეცდომებს უშვებ, მაშინვე შეგცვლის.

— „მეტალურგი" თუ გაძლიერდა ახალი სეზონის წინ?

— სამი მოთამაშე დავიმატეთ. ერთი, ალექსანდრ იოვიჩი, ჩემს პოზიციაზე თამაშობს. ასაკოვანი ხელბურთელია, არა მგონია, მის გამო პრობლემა შემექმნას ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. ყველაფერი მაინც ჩემზე იქნება დამოკიდებული.

— წლეულსაც ჩემპიონობისთვის და თასის მოსაგებად იბრძოლებთ? თუ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გახვედით, ალბათ გაგიჭირდებათ...

— სხვანაირად არ შეიძლება, ხელმძღვანელობა მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს ორივე ტურნირში და იგივე გვინდა ხელბურთელებსაც. იოლი არ იქნება, მაგრამ ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ. თან მთავარი კონკურენტი „ვარდარიც" საგრძნობლად გაძლიერდა, ხუთი მოთამაშე დაიმატა და არაფერს დაგვითმობს. წლეულს ხომ ჩემპიონობა წავართვით და მაგარი მატჩები გველის.

— სულ ისე ხდება, რომ ტიტულებისთვის ეს ორი გუნდი იბრძვის. ახლა მაინც თუ გაძლიერდა, რომელიმე გუნდი ისე, რომ თქვენს დავაში ჩაერთოს?

— ორი გუნდი შედარებით უკეთესი იქნება, მაგრამ ისე არა, რომ ტიტულის მოსაგებად გაიწიოს. ჯერჯერობით მაკედონიაში „ვარდარი" და „მეტალურგი" უკონკურენციოა.

— ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად თურქული „იზმირის" დამარცხება გმართებთ, როგორია თქვენი შანსები?

— მეტოქეს კარგად ვიცნობ. მაგათი რამდენიმე მოთამაშე სტუდენტურ ნაკრებში იყო და ვენეციაში მათთან შეხება გვქონდა. კიდევ ჰყავთ ერთი-ორი გამოცდილი ხელბურთელი და ისე არაა საქმე, რომ ადვილად ვაჯობოთ, პირიქით, მაგარი ომი იქნება. ერთი ეგაა, საპასუხო თამაშს სკოპიეში ვატარებთ და ეს გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს. ძალიან გვინდა ლიგაში შესვლა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

ახლა თურქეთში მივფრინავთ, იქ ვითამაშებთ და ერთი კვირის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი.

— მაკედონიის ჩემპიონატი როდისლა იწყება?

— 15 სექტემბერს პირველ ტურში „ვარდარს" სტუმრად ვეთამაშებით და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ჯახი იქნება. მათ რევანში აქვთ ასაღები. ისე გამოვიდა, რომ ერთ კვირაში სამი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს და ძალიან მინდა, კარგად ვითამაშო.

— ლიგის ჯგუფში თუ მოხვდით, სერიოზული მეტოქეები გელით, კენჭისყრაში არ გაგიმართლათ...

— ასეა... „ბარსელონა", „კილი", „ბრანი"... ამათთან მოგება ძალიან ძნელია და იქიდან გასვლა წარმოუდგენელიც, მაგრამ, მეორე მხრივ მიხარია, ასეთ გუნდებთან თამაში რომ მომიწევს. ძალიან მაგარი იქნება. „კილი" და „ბარსა" ხომ მსოფლიოს გრანდები არიან.

— ნაკრებზეც ვთქვათ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვეღარ ითამაშებთ...

— რა უნდა ვთქვა, ძალიან ცუდია. ისედაც არ იყო კარგ დღეში ქართული ხელბურთი და ახლა ესეც დაემატა. „ჩელენჯ-ტროფის" მოგებამ სტიმული მოგვცა და შესარჩევის თამაშებსაც ველოდით, მაგრამ... საჭირო იყო თამაში. ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაჭირდებოდა, სერიოზული მეტოქეები გვყავდა — პოლონეთი და შვედეთი გრანდებია, რუმინეთი, ჩერნოგორია და თურქეთიც ისეთი ნაკრებებია, სერიოზული ბრძოლაა საჭირო მათ დასამარცხებლად. რაც არ უნდა იყოს, უნდა გვეთამაშა, სხვანაირად არაფერი გამოვა. არც ისეა საქმე, ჯგუფიდან გასვლის შანსი საერთოდ არ გვქონოდა. ჩემი აზრით, 20-30 პროცენტი შანსი იყო. მართალია, ეს ბევრი არაა, მაგრამ შენი შანსის გამოსაყენებლად ბოლომდე უნდა იომო. სხვათა შორის, ამხანაგურ ტურნირებზე ჩემმა თანაგუნდელებმა ჩვენი ბიჭები რომ ნახეს, თქვეს, კარგი ხელბურთელები გყავთ, მეტი შეგიძლიათო. სერგო დათუკაშვილი, ვოვა რუსია, შოთა თევზაძე ძალიან მოეწონათ. სხვებსაც კარგად ახასიათებდნენ.

— ერთსაც გკითხავ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე მანდ რა რეაქცია ჰქონდათ, რას გეკითხებოდნენ?

— აინტერესებდათ, რა ხდებოდა საქართველოში. ამათ მაინც არ იცოდნენ ზუსტად ვითარება. მეუბნებოდნენ, რუსეთთან ომი რამ დაგაწყებინათო. მაკედონიაში ეგონათ ქართველებმა დაიწყეს ომი. ისიც კი მითხრეს, საქართველოში თუ სახიფათოა ცხოვრება, ოჯახი აქ ჩამოიყვანეო.

**ლევსო მაისურაძე**



რეზო ჭანტურიას გოლიანობა ჩვეულებრივი ამბავია





მაკა ჩახნაშვილი



ირაკლი ლაბაძე

# ქართული მეოთხედები უკრაინაში და საფრანგეთში

## ლაბაძე და ჩახნაშვილი პირველობას ამართლებენ

ბოლო [illegible] ჩოგბურთელები დიდი წარმატებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ამ კვირაში, როგორც ჩანს, ცოტა გამოცოცხლდნენ და ორი ჩვენიანი საკმაოდ კარგადაც ათამაშდა.

საქართველოს პირველი ჩოგნები ქალებშიც და კაცებშიც — მაკა ჩახნაშვილი და ირაკლი ლაბაძე — უკრაინაში და საფრანგეთში იმყოფებიან და ტურნირებში მონაწილეობენ.

მაკა ჩახნაშვილი საფრანგეთის ქალაქ დენაინში 75 ათასიან ტურნირში მონაწილეობს და უკვე მეოთხედფინალამდეც გააღწია. მან პირველ წრეში ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილ ფრანგ ოლივია სანჩესთან ითამაშა და დაამარცხა ორ სეტში — 6:3, 7:6.

ამ გამარჯვებით ჩახნაშვილი მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე კიდევ ერთი ფრანგი, კვალიფიკაცია გამოვლილი კარლა მრაზი იყო. მასთან ჩვენიანმა საერთოდ გაილაღა და ძალიან იოლად გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 6:1, 6:2.

ახლა საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი ფრანგული შეჯიბრების მეოთხედფინალშია. მას გერმანელ ქრისტინა ბაროისთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ჩოგბურთელი მსოფლიოს 136-ე ჩოგანია და შესაბამისად ჩახნაშვილს ადვილი გასეირნება ნამდვილად არ ელოდება.

ფრანგული ტურნირის წყვილთა გათამაშებაშიც ცდიდა ძალებს ჩახნაშვილი, მას მეწყვილეობას რუმინელი ალექსანდრა დულგერუ უწევდა. მათ პირველი წრე ადვილად გადალახეს, ორ სეტში აჯობეს ბელას — 6:2, 6:3. თუმცა [illegible] ველარაფერი მოახერხეს, რადგან ფრანგი კოენ-ალოროსა და კანადელი პელეტიეს ტანდემს შეხვდნენ და დამარცხდნენ კიდეც — 4:6, 6:7.

უკრაინის ქალაქ ჩერკასში ასპარეზობს ირაკლი ლაბაძე, რომელიც ბოლო პერიოდში ისევ საქართველოს პირველ ნომრად იქცა კაცებში. მან პირველ წრეში რომ გაიმარჯვა უკვე იცით, ახლა კი მომდევნო ეტაპზეც იმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა.

მერვედფინალში ლაბაძის მეტოქე სლოვაკი ბლაჟ კავჩიჩი იყო. ამ მოთამაშეს ჩვენებურმა სამ სეტში აჯობა — 6:4, 5:7, 6:3. არადა, ამ დაპირისპირებაში ფავორიტად სლოვაკი ჩოგბურთელი მიიჩნეოდა, რადგან რეიტინგში ქართველზე უკეთესი პოზიცია ეკავა.

მეოთხედფინალურ შეხვედრაში ირაკლი ლაბაძეს უზბეკ დენის ისტომინთან მოუწევს შერკინება. ეს მოთამაშე ტურნირზე მეოთხე ნომრად არის განთესილი და, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ისე ხელწამოსაკრავი მეტოქე იქნება.

ირაკლი ლაბაძემ უკვე დაასრულა გამოსვლა წყვილთა გათამაშებაში. სადაც გერმანელ ბასტიან კნიტელთან ერთად თამაშობდა. პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ, ქართულ-გერმანული წყვილი უკრაინელებს, სერგეი ბუბკასა და სერგეი სტახოვსკის, შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ერთი სეტი მოიგეს, საბოლოოდ მაინც დამარცხებულებმა დატოვეს კორტი — 3:6, 6:4, 8:10.

**გიორგი არაბული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

QUARTZITE

# ძველი კაპიტანიც მოსულა

## ქართული სეზონი ახალგაზრდულად იწყება

**ზეგ, 7 სექტემბერს, რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება. ამასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს რაგბის კავშირში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების კითხვებს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ და სანაკრებო კომიტეტის თავჯდომარემ გია ჭუმბურიძემ უპასუხეს. ქართული მედიის წარმომადგენლები მხოლოდ შიდა ჩემპიონატით არ შემოიფარგლნენ და ზოგადად ქართულ სარაგბო ამბებზეც მიიღეს პასუხები...**

*გია ნიჟარაძე:* საქართველოს ჩემპიონატი 7 სექტემბერს განახლდება. პირველ ტურში წრის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა გაიმართება „სინათლის" სტადიონზე „ლელოსა" და „ყოჩებს" შორის. პირველი ტურის ჩამთავრების შემდეგ ჩემპიონატში სამკვირიანი შესვენება გამოცხადდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პოლონეთში მიემგზავრება, სადაც 20-28 სექტემბერს ქალაქ სოპოტში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ვინაიდან საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კლუბების შემადგენლობა საკმაოდ ახალგაზრდულია და მორაგბეები ნაკრებში მრავლად არიან გამოძახებულნი, გადავწყვიტეთ, ტურის შემდეგ ჩემპიონატში შესვენება გამოგვეცხადებინა. სამაგიეროდ, ამ პაუზას ქართულ სარაგბო სივრცეში, მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, საქართველოს შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატი შეავსებს.

— რა შედეგს გეგმავს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე?

— სიმართლე გითხრათ, ჩვენს ახალგაზრდებს ქვეყანაში საომარი ვითარების გამო სათანადო მოსამზადებელი პირობები ვერ შევუქმენით. ნაკრებმა ვერ გაიარა დაგეგმილი შეკრება და არ ჰქონია სპარინგ-მატჩები. ერთადერთი, რასაც ბიჭებს ვთხოვ, ისაა, რომ პოლონეთში ლაღად და თავისუფლად, ყოველგვარი წნეხისგან განთავისუფლებულებმა, ითამაშონ. მათში დიდი ტალანტია კონცენტრირებული და გახსნილი რაგბის თამაში შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

— საქართველოში 2009 წელს აპრილში 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის B დივიზიონის მატჩები უნდა გამართულიყო, როგორც ვიცით, ეს აღარ ხერხდება. რა არის ამის მიზეზი?

— ჩვენ მზად ვიყავით, რომ 2009 წელს თბილისში მსოფლიოს თასის B დივიზიონის თამაშები ჩაგვეტარებინა. ამის შესახებ IRB-სთვის ოფიციალური თანხმობა აგვისტოში უნდა გვეთქვა, მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო ეს ვერ გავაკეთეთ. IRB გაგებით მოეკიდა სიტუაციას და შეგვპირდა, რომ ანალოგიური ტურნირი 2010 წელს მაინც აუცილებლად გაიმართება ჩვენს ქვეყანაში.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი როდის ჩამოდის თბილისში და რა გეგმები გაქვთ ძირითად ნაკრებთან დაკავშირებით?

— ტიმ ლეინი ოქტომბერში ცნობილ ავსტრალიელ ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად ჩამოდის თბილისში. მას სურს, რომ ნაკრებმა ერთა თასის დაწყებამდე ორი მაღალი დონის ტესტ-მატჩი ჩაატაროს. ამ პერიოდში, თუ საშუალება მოგვეცა, ვეცდებით, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი შევკრიბოთ. ეს ყველაფერი ლეგიონერებზე და მათ კლუბებზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება ტესტ-მატჩებს, გეტყვით, რომ ჯერჯერობით შოტლანდიის A ნაკრებიდან ველოდებით თანხმობას.

— როგორც გავიგეთ, ილო ზედგინიძე დაუბრუნდა დიდ რაგბის...

— ილომ კონტრაქტი ფრანგულ კლუბ „ექსან პროვანსთან" გააფორმა. მას მუხლის ტრავმა ჰქონდა და, ეტყობა, მოირჩინა.

— ნაკრებში თუ დააბრუნებს ზედგინიძეს ტიმ ლეინი?

— ეგ მთლიანად ლეინის გადასაწყვეტია. მე ვერ ჩავერევი მის საქმეში.

*გია ჭუმბურიძე:* მინდა, აქცენტი ძირითადად საქართველოში რაგბის განვითარების პროგრამასა და სხვადასხვა ასაკის ნაკრების განვითარებაზე გავაკეთო. იმედია, ქვეყანაში შექმნილი ვითარება რაგბის განვითარების დაგეგმილ პროგრამას არ შეცვლის, და თუ ეს მოხდა, ჩვენ ამას გაგებით მოვეკიდებით. აქვე მინდა, გითხრათ, რომ ჩვენც სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში საოცრად ნიჭიერი მორაგბეები ირიცხებიან. ეს განსაკუთრებით 17-წლამდელებზე ითქმის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ მორაგბეთა ტალანტი ამაოდ არ დაიკარგოს. ასევე ვეცდებით, რომ პოლონურ ტურნიზე ნათამაშები 19-წლამდელების ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ და მომავალ წელს ამ შემადგენლობით 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის ელიტაში დავიბრუნოთ ადგილი.

**ზურაბ მიგრიაული**



გია ჭუმბურიძე



გია ნიჟარაძე





დღეს იგორ კოკოშკოვი და საქართველოს ნაკრები ევროელიტისკენ მიმავალ გზას დაადგებიან

# ელიტისკენ მიმავალი საქართველო უნახავი დაგვირჩა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. I წრე

## ლუქსემბურგი — საქართველო

დღეს. ლუქსემბურგი. 22:30 საათი

**დღეს** საქართველოს ნაკრები უკვე მესამედ, თბილისიდან უნდა შესდგომოდა ევროელიტისკენ მიმავალ გზას, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, კონკრეტულად კი, აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ფიბა-ევროპას გადააწყვეტინა, რომ წელს თბილისში არც ერთი ოფიციალური სანაკრებო შეხვედრა არ გაიმართოს.

საქართველოსა და ლუქსემბურგის ნაკრებების დაპირისპირებაც სწორედ ამიტომ გადაიდო ერთი დღით, ამ თამაშის მასპინძლად კი იქამდე სტუმარი ლუქსემბურგი იქცა. ეს მატჩი დღეს, 6 სექტემბერს, ჩატარდება. ამ ჯუჯა ქვეყანაში დაიწყებს თავის ახალ ევროთავგადასავალს საქართველოს ნაკრები, რომელიც ორი წლის ჯამში კვლავ შეეცდება, თავი დააღწიოს B დივიზიონს და ელიტაში აღზევდეს.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დავრჩით ჩვენი ნაკრების თამაშის ხილვის შესაძლებლობას მოკლებულნი, რადგან არც ერთმა ქართულმა ტელევიზიამ არ შეისყიდა საქართველოსა და ლუქსემბურგის ნაკრებების ჩვენების უფლება. ამით კი ისევ ჩვენი ქომაგი დაზარალდა, თანაც არა გვგონია ჩვენი ნაკრების თამაშს ცოტა მაყურებელი ჰყოლოდა.

რაც ყველაზე ცუდია, არავინ იცის, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების დანარჩენი შეხვედრების ხილვის საშუალებას მაინც თუ მოგვცემენ ჩვენი ტელევიზიები და მათი ხელმძღვანელები. არადა, ლუქსემბურგთან შეხვედრის გარდა სექტემბერში კიდევ სამ მატჩს გამართავს საქართველოს ნაკრები.

**გიორგი არაბული**

**6 სექტემბერი**
**ლუქსემბურგი — საქართველო**
**10 სექტემბერი**
**ირლანდია — საქართველო**
**13 სექტემბერი**
**სლოვაკეთი — საქართველო**
**17 სექტემბერი**
**შვედეთი — საქართველო**

### საქართველოს ნაკრები

უკანა ხაზი: ლაშა გამყრელიძე (ენერჯი-ინვესტი), გიორგი ცინცაძე (როკი, ესტონეთი), კოტე ტულუში (ენერჯი-ინვესტი), ტაირონ ელისი (კახასოლა, ესპანეთი), ანატოლი ბოისა (თბილავიამშენი);
ფორვარდები: ვიქტორ სანიკიძე (უკლუბო), თორნიკე შენგელია (პამესა, ესპანეთი), ნიკა ცქიტიშვილი (ტურამო, იტალია), მიხეილ ბერიშვილი (ენერჯი-ინვესტი), ვლადიმერ ბოისა (მენორკა, ესპანეთი);
ცენტრები: ზაზა ფაჩულია (ატლანტა ჰოუქსი, აშშ), გიორგი შერმადინი (მაკაბი).



# საპლაჟო სეზონის დასაწყისის გაგრძელება

**პოლონეთში,** პლაჟის ფრენბურთის მსოფლიო ეტაპზე პირველ დღეს მოგებულმა ჩვენმა წყვილებმა, გეორ-გიამ და საქა-რთველომ, გუშინ თავიანთ მატჩში წააგეს, მაგრამ ეტაპზე თამაშს მაინც განაგრძობენ, რაკი ძირითად ბადეში ერთი წაგება ყველას ეპატიება.

გუშინ ჩვენმა კაცთა დუეტმა გეორ-გიამ, პირველი მატჩი არგენტინელებთან ბარასეტი — სალემასთან 1:2 წააგეს, მერე კი ტურნირზე 27-ე ნომრად განთესილი ავსტრიელებს ჰუპკერი — შროფენევერს მოუგეს 2:0 და პოლონეთის ფრენბურთელებს შემორჩნენ.

ჩვენმა ქალთა წყვილმა საქარ-რთველომ კი საწყისი ორი მოგების შემდეგ შვეიცარიელები ცუმკერი და გრესლი დაამარცხეს, მაგრამ მერე ნორვეგიელებთან და ნილასთან და ინგლისთან დამარცხდნენ, თუ პოლონეთში დარჩენა სურთ დღეს ბერძნულ წყვილს კიტრუმნიდუს და ციარციანს უნდა მოუგონ.

**ბაჩო სვანიძე**

US OPEN 2008. ჯარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

# რა ალაპარაკებდა?!

## ჯოკოვიჩმა როდიკს ენა დაუმოკლა

კაცები.
მეოთხედფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ენდი როდიკი (8, აშშ) 6:2 6:3 3:6 7:6; როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 7:6 6:4 7:6





**ენდი როდიკს** მწარედ მიეზღო ენაგრძელობისთვის. ნოვაკ ჯოკოვიჩმა არ შეარჩინა ზედმეტი ლაქლაქი და კაცთა ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი იანკიც დაიფრინა.

ალბათ გაინტერესებთ, ასეთი რა თქვა ენდი-ბიჭმა. ამერიკელის მწარე კომენტარები ჯოკოვიჩის ტომი რობრედოსთან წინა წრის მატჩს მოჰყვა, რომელშიც სერბმა ექიმი რამდენჯერმე გამოიძახა კორტზე. როდიკმა სწორედ ამაზე გაიქილიკა, ან მაგ ბიჭს 12 სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებს და მართლა გმირია, კიდევ რომ თამაშობს, ანაც უბრალოდ დროის გაყვანა უნდოდა, რომ დაესვენაო. ანუ ისე გამოჰყიდა, თითქოს ნოვაკი თავს იკატუნებდა. ენდის ეს საკმარისად არ ეჩვენა და მერე კიდევ დაამატა — იმედია, ქათმის გრიპი ან რამე ამდაგვარი ვირუსი არ სჭირს, თორემ კორტის მეორე მხარეს მდგომს შეიძლება მეც რამე გადმომდოსო.

ჯოკოვიჩი როდიკის ამ გამოსვლას ძალიან ცივად შეხვდა:

„არ არის ლამაზი კოლეგაზე ასეთი საუბარი. ეს, როგორც მინიმუმ, უპატივცემულობის გამოვლენაა."

როდიკი მალევე მიხვდა, რომ არცთუ კორექტულად გამოუვიდა. სცადა თავისი საქციელის გამართლება და ყველაფრის იუმორში გატარება მოინდომა — აქაოდა, ვიხუმრე და ნამდვილად არ მეგონა, თუ ვინმე ამას სერიოზულად აღიქვამდაო.

ასეა თუ ისე, ჯოკოვიჩმა მეტოქის სიტყვები გულთან ახლოს მიიტანა. ჰოდა, გუშინ ეს სანახევროდ ჯანმრთელი ბიჭი კორტზე ისეთი საოცარი მოტივაციითა და ბრძოლის წყურვილით გავიდა, რომ უკვე ნახევარ საათში როდიკი საკუთარ თავს სწყევლიდა, ამდენს რა მალაპარაკებდაო.

სერბმა ბლიც-კრიგის ტაქტიკა არჩია და პირველი წამიდანვე ისეთი შმაგი ჩოგბურთი გააჩაღა, რომ ამერიკელს რიტმის დაჭერის მინიმალური შანსიც მოუსპო. თანაც ბალკანელს ყველაფერი გამოსდიოდა და nაირ-ნაირი კომბინაციებით იხვეჭდა ქულებს. მასპინძელთა კერპი კი კორტზე გაბეცებული იდგა — სხვა ყველაფერთან ერთად ენდი-ბიჭის სახელგანთქმული მოწოდებაც სადღაც გამქრალიყო.

მოკლედ, ჯოკოვიჩმა უცბად მოიგო ორი სეტი, თან ისე დამაჯერებლად, რომ აზრადაც არავინ გაიელვებდა, როდიკი განადგურებას თავს დააღწევსო. მაგრამ პირთამდე გადავსებული 20 000-იანი ტრიბუნების წინ ენდი-ბიჭს ასე უკბილოდ წაგების უფლება ნამდვილად არ ჰქონდა. ამერიკელმაც ნელ-ნელა, დიდი წვალებითა და ჯახირით შეძლო მატჩის გათანაბრება, თანდათან დაჟანგული ყუმბარმტყორცნიც გამართა და მაინც შეძლო შეხვედრაში გარდატეხის შეტანა.

ამერიკელმა მესამე სეტი სათავისოდ დაიტოვა და მეოთხეც უპირატესობით დაიწყო. ჯოკოვიჩს აქ დაღლა დაეტყო და კარგად გამოჩნდა, რომ მატჩის გაწელვასთან ერთად სერბის შანსები თანდათან კლებულობდა. თანაც გაჩერებას არ აპირებდა ამერიკული პუბლიკა, რომელიც ბალკანელს ყველანაირად უშლიდა ხელს. ნოვაკიც წყობიდან გამოვიდა და მეშვიდე გეიმში, როცა როდიკმა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, სერბი ტრიბუნებს მიუტრიალდა და დაიყვირა — „დადუმდით!", რის შემდეგაც [illegible] გულიანად შეიკურთხა. ენდიმ კი ამას იმით უპასუხა, რომ თავისი შანსი გამოიყენა და 4:3 დაწინაურდა.

როდიკი ვალდებული იყო, ეს უპირატესობა შეენარჩუნებინა და საქმის გარჩევა მეხუთე სეტში გადაეტანა, მაგრამ... უკვე მერამდენედ გვიწევს იმის მტკიცება, რომ ამერიკელი ფსიქოლოგიური მდგრადობის კუთხით აშკარად მოიკოჭლებს.

სეტებში ანაგარიშის გათანბრების ნაცვლად ენდი-ბიჭმა ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და სერბს დაწევის საშუალება მისცა. შედეგად საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ნოვაკს სერიოზული მორალური უპირატესობა ჰქონდა. ამანაც, მეტოქისგან განსხვავებით, შეძლო მისი გამოყენება და ნახევარფინალში თამაშის უფლება გაინაღდა.

ნამატჩევს ჯოკოვიჩი და როდიკი შერიგებულან კიდეც, რაზეც ორივემ ერთხმად განაცხადა პრესკონფერენციაზე. სერბმა კი მოიბოდიშა — უკაცრავად, თუ ძალიან მწარე რეაქცია მქონდაო.

ახლა კი ჯოკოვიჩს შარშანდელი ფინალის რამატჩი ელის, რადგანაც მეტოქედ როჯერ ფედერერი ეყოლება — შვეიცარიელი აგერ უკვე ზედიზედ მეთვრამეტე სლემტურნირზე ახერხებს ოთხ საუკეთესოს შორის მოხვედრას. საამისოდ ალპელს ჟილ მიულერის დამარცხება მოუწია, რასაც „მხიარულმა როჯერმა" სამ სეტში გაართვა თავი. ამის მიუხედავად, ალპელმა მაინც გვარიანად იწვალა, რადგანაც ორჯერ მხოლოდ სჩოგბურთო ლატარიაში შეძლო ჯიუტი ლუქსემბურგელის გატეხვა.

**ქახა ლომჯარიძე**

---

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ეშხიანი სპა-ფრანკოშარმი

**სპა-ფრანკოშარმის** ლეგენდარულ ტრასაზე პირველი რბოლა შორეულ 1925 წელს ჩატარდა, მაშინ, როდესაც ფორმულა 1 ჯერ ჩანასახშიც არ იყო და ის შეჯიბრი „სამეფო რბოლების" მომავალმა ჩემპიონმა, იტალიელმა ალბერტო ასკარიმ მოიგო „ალფა რომეოთი".

როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი ფორმულის მსოფლიოს ჩემპიონატებს ჩაეყარა საფუძველი, ბელგიური დიდი პრიზი ამ ასპარეზობის, პრაქტიკულად, განუყოფელ ნაწილად იქცა და სპა-ფრანკოშარმის ტრასა სილვერსტოუნთან, მონცასა და მონაკოსთან ერთად, ფორმულა 1-ის ყველაზე ლეგენდარულ არენად ითვლება.

1959, 1969 და 1971 წლებში ბელგიის დიდი პრიზი არ გამართულა, ხოლო 1972-82 წლებში მას სპა-ფრანკოშარმი არ მასპინძლობდა. 1972 და 1974 წლებში ნიველესას ტრეკზე ბრაზილიელმა ემერსონ ფიტიპალდიმ იპირველა, ხოლო 1973, 1975-82 წლებში ბელგიის დიდი პრიზი ცოლდერის ავტოდრომზე ტარდებოდა. 1983 წელს კალენდარში ისევ სპა-ფრანკოშარმი გამოჩნდა, 1984 წელს რბოლა ცოლდერის ტრეკზე დაბრუნდა და 1985 წლიდან დღემდე „სამეფო მრბოლები" საოცარი ხიბლის მქონე სპა-ფრანკოშარმზე დაჯირითობენ. გამონაკლისი მხოლოდ 2003 და 2006 წლები იყო, როდესაც მიზეზთა და მიზეზთა გამო ბელგიის დიდი პრიზი არ გამართულა.

ალბერტო ასკარიმ იმ პირველი, 1925 წლის წარმატების გარდა, სპა-ფრანკოშარმზე, უკვე პირველი ფორმულის ხანაში, კიდევ ორი ტრიუმფი გადაიხადა 1952-53 წლებში. ბელგიაში სამჯერ დიადმა არგენტინელმა ხუან-მანუელ ფანხიომაც იპირველა (1950, 1954-5:). გასული საუკუნის 60-იან წლებში იქ განუმეორებელი შოტლანდიელი ჯიმი კლარკი ბატონობდა, რომელმაც მიყოლებით ოთხი (1962-65) ეტაპი მოიგო და ოთხჯერ ზედიზედ ბელგიაში მას შემდეგ მხოლოდ ბრაზილიელმა „ჯადოქარმა" აირტონ სენამ იმარჯვა 1988-91 წლებში. სენას ერთი ბელგიური ეტაპი მანამდეც, 1985 წელსაც ქონდა მოგებული და სანამ ტრასებზე გერმანელი „წითელი ბარონი" მიხაელ შუმახერი არ გამოჩნდა, სწორედ ბრაზილიელი იყო ბელგიური დიდი პრიზის აბსოლუტური რეკორდსმენი.

შუმახერის ფანტასტიკურ კარიერას საფუძველი სწორედ სპა-ფრანკოშარმზე ჩაეყარა 1992 წელს, როდესაც მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ იმედის მომცემმა „შუმიმ" „ბენეტონით" თავისი პირველი საკარიერო გამარჯვება იზეიმა. ასევე „ბენეტონით" იმარჯვა მან 1995 წელს და შემდეგ, უკვე „ფერარის" საჭესთან მჯდარმა, ბელგიაში კიდევ ოთხი (1996-97, 2001-02) დიდი პრიზი მოიგო.

ჯერ კიდევ შუმახერის წასვლამდე ბელგიაში ფინელი კიმი რაიკონენის ეპოქა დაიწყო. „ყინულის ფინელმა" 2004-05 წლებში „მაკლარენით" იმარჯვა სპაზე და შარშან თავისი ბელგიური ტრიუმფი „ფერარის" ალისფერი ბოლიდით გააგრძელა. ბოლო სამი ბელგიური დიდი პრიზის გამარჯვებული სწორედ რაიკონენი გახლავთ და მის გარდა, დღეს მოქმედი პილოტებიდან, სპა ფრანკოშარმზე მხოლოდ დევიდ კულტჰარდს უმარჯვია 1999 წელს.

**ქახა ლომაძე**

---

მომავალი ეტაპი — ბელგიის დიდი პრიზი

სპა-ფრანკოშარმი

სპა, 7 სექტემბერი




ტრასის სიგრძე ---------------------------------------- 7.004 კმ
რბოლის დისტანცია ------------------------ 44 წრე — 308.176 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16.00 საათზე

**შარშანდელი შედეგები**

1. რაიკონენი (ფერარი); 2. მასა (ფერარი); 3. ალონსო (მაკლარენი); 4. ჰემილტონი (მაკლარენი); 5. ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 6. როსბერგი (უილიამსი); 7. ვებერი (რედ ბული); 8. კოვალაინენი (რენო)

**წრის რეკორდი:** 2004 — რაიკონენი (მაკლარენი) 1:45.108

la vuelta 08 — 63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო-21 სექტემბერი




# ლევის ერთდღიანი სიყვითლე

ოთხშაბათს სიუდად რეალის გარშემო გამართულმა 42,5-კილომეტრიანმა ინდივიდუალურმა რბოლამ დიდი გამოცოცხლება შეიტანა ვუელტას პელოტონში, რომელიც პირველი ოთხი ეტაპი სიცხისა თუ ერთფეროვანი რელიეფისგან გამოთაყვანებული დუნედ მიგორავდა და საფინიშო კილომეტრებზე თუ გამოცოცხლდებოდა.

გვარიანი სიგრძის თითო კაცად გასავლელი ეტაპი ლევი ლეიფჰეიმერმა მოიგო, რომელმაც რამდენიმე დღის წინ პეკინის ოლიმპიადაზე ბევრი იმუშავა და ჩინეთიდან ბრინჯაოს მედალიც წამოიღო, მაგრამ „ვუელტას" მაინც ასე თუ ისე დასვენებული შეხვდა, რაკი წლევანდელი „ტურ დე ფრანსი" გამოტოვა. თავისი წილი 42,5-კილომეტრი ლეიფჰეიმერმა მძიმედ დაიწყო, მაგრამ პირველი 20 კილომეტრის შემდეგ შესამჩნევად აუჩქარა და მის გამოსვლამდე საუკეთესო დროის მქონე მანუელ ქინზიატოს ნახევარ წუთზე მეტი მოუგო. ლეიფჰეიმერის შედეგთან გაჯიბრება ყველაზე უკეთ ფრანგმა ინდივიდუალისტმა სილვიან შავანელმა სცადა, თუმცა მას სულ ორი წამი დააკლდა ამერიკელამდე და მეორე ადგილი შეხვდა.

„ოლიმპიადის დასრულების შემდეგ თავს ჯანმრთელად ვგრძნობ და „ვუელტაც" სისხლსავსედ დავიწყე. ახლა შანსი მომეცა და გამოვიყენე. არ ვამბობ, რომ გამარჯვება იოლად მომივიდა. პირველ ნახევარზე პირქარმა შემაფერხა, მაგრამ მერე აჩქარებისთვის ენერგია შემონახული მქონდა" — ამბობდა ნარბოლევს ლეიფჰეიმერი, რომელიც ამ ეტაპის მოგებამ საერთო ჩათვლაშიც გაალიდერა, რაც უნიკალური მოვლენაა ამ მრბოლის კარიერაში, არც „ვუელტას" ოქროსფერი და არც სხვა დიდრონი ველოტურების ლიდერის მაისურა მას არასდროს არ სცმია.

მოახერხეს და ლეიფჰეიმერს 42 კილომეტრზე წუთზე ნაკლებით ჩამორჩნენ საბოლოო გამარჯვების ესპანელი პრეტენდენტები — ალეხანდრო ვალვერდე და ალბერტო კონტადორი. ამ წარმატებამ ორივე წაწია საერთო ჩათვლაში და ვალვარდე მესამე ადგილზე დამკვიდრდა ლეიფჰეიმერისა და შავანელის შემდეგ, კონტადორი კი მეხუთემდე ალზევდა.

ინდივიდუალური ბრძოლიდან მოგებული გამოვიდა ტერ დე ფრანსის წლეულს მომგები კარლოს სასტრეც, ვისაც, თუ ძალიან გაუმართლებს და საკუთარ სხეულში კიდევ იპოვის ენერგიის მარაგს, იქნებ დუბლის შესრულებაც მოუხერხდეს. ინდივიდუალურად ის მეთხუთმეტე იყო და ლიდერთან ოდენ წუთ-ნახევარიანმა ჩამორჩენამ საერთო ჩათვლაში მეშვიდე საფეხურამდე წასწია, რაც საკმაოდ კარგი შესატევი საფუძველია მოახლოებული სამთო ეტაპების წინ.

ხუთშაბათს სიუდად რეალიდან ტოლედომდე 150 კილომეტრზე გაჭიმული მეექვსე ეტაპი სამთო არ იყო, მაგრამ საინტერესო ბიძგები აქაც შეინიშნებოდა. რაკი სილვიან შავანელი მხოლოდ ორ წამს აგებდა ლეიფჰეიმერთან, მისმა გუნდმა „კოფიდისმა" შუა ეტაპზე ორი სპრინტი წამოიწყო, რითაც პელოტონის ერთობა დაიშალა. შავანელმაც ამ ღროჩოებით ისარგებლა, წინ გაძვრა და რამდენიმე წამის მოგების შემდეგ საერთო ჩათვლის ლიდერის სარგო ოქროსფერმა მაისურმა ამერიკელის ტანიდან ფრანგისაზე გადაინაცვლა. მანამდე მეოთხე ადგილზე მავალი ბელგიელი ტომი ბოონენი ჩამორჩა. ასე რომ კონტადორი მეოთხეზე ალზევდა, სასტრე კი ერთბაშად ორი საფეხბურთი ამაღლდა და ხუთეულში შევიდა, ლიდერ შავანელთან 1.37 დროის ჩამორჩენით.

პარასკევს ვუელტამ დაისვენა, დღეიდან კი პირენეების ციცაბო აღმართებს შეუყვება და ნამდვილი ლიდერ-აუტსაიდერებიც დღეიდან გამოიკვეთებიან.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მე-5 ეტაპი. სიუდად რეალი. ინდ რბოლა. 42,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, „ასტანა") | 50 წთ 57 წმ |
| 2. სილვიან შავალენლი (საფრანგეთი, „კოფიდისი") | +12 წმ |
| 3. მანუელ ქინზიადო (იტალია, „ლიკვიგასი") | +33 |
| 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +49 |
| 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +59 |

**მე-6 ეტაპი. სიუდად რეალი — ტოლედო. 150 კმ**

| | |
|---|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქუიქ სტეპი") | 3 სთ 19 წთ 28 წმ |
| 2. ფილიპე ჟილბერტი (ბელგია, „ფრანსეს დე ჟუ") | |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | |
| 4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | |
| 5. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიკუიგასი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. სილვიან შავანელი (საფრანგეთი, „კოფიდისი") | 17 სთ 35 წთ 35 წმ |
| 2. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, „ასტანა") | +10 წმ |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +26 წმ |
| 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +57 წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 37 წმ |



# ლიუ სიანს ექიმები დაასიეს



ოლიმპიადის მასპინძელ ჩინეთს მძლეოსნობაში ოქროს მოპოვების ერთადერთი იმედი ჰყავდა — 110 მეტრზე თარჯმორბენალი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ლიუ სიანი. საბოლოოდ ჩინელმა სპორტსმენებმა მის გარეშეც იმდენი ოქრო მოიპოვეს, რომ თავისუფლად ეყოთ საერთო ჩათვლის პირველად მოსაგებად ოლიმპიადების საუკუნოვან ისტორიაში.

მაგრამ ამით თავად ლიუს რა ხეირი? ჩინელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტსმენისთვის ეს ლამაზი ოლიმპიადა უდიდესი იმედგაცრუება აღმოჩნდა. მეოთხედფინალური გარბენისას (სხვათა შორის, მის გარბენში მონაწილეობდა ჩვენებური დავით ილარიანი) ლიუ პირველივე თარჯს გამოედო, წაბორძიკდა და ტერფი დაიზიანა.

ამ ტრავმამ მის უდიდეს ოცნებას გადაუსვა ხაზი. ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ლიუ სიანი მშობლიურ შანხაიში რომ დაბრუნდა, ექიმები დაასიეს — სწორედ რომ დაასიეს, რაკი მისი ტერფის მკვლევართა რიცხვმა არაერთი ათეული დოქტორი შეადგინა.

„ჩვენ განვიხილეთ ყველა შესაძლო ვარიანტი, ამერიკაში მკურნალობაც კი — ამბობს ერთ-ერთი ექიმი — და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ლიუმ უოპერაციოდ უნდა იმკურნალოს. ეს პროცესი რამდენიმე თვეს, დაახლოებით ნახევარ წელიწადს გაგრძელდება. იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, თუ როგორ განვითარდება დაზიანებული მყესის აღდგენის პროცესი."

აი, ამ ბიჭზე ითქმის, ცივ ნიავს არ მიაკარებენო.



## ირლანდია

**პრემიერდივიზიონი**

კორკი — დერი გადაიდო
დროჰედა — კობი გადაიდო
სტ პატრიკსი — გალვეი გადაიდო
ფინ ჰარპსი 2:0 დუბლინი
სლიგო 0:1 ბოჰემიანსი

## პოლონეთი

**თასი**

**C ჯგუფი**

ბელხატუვი 2:2 არკა
გდანსკი 0:0 ლეხი

**D ჯგუფი**

ლეგია 3:0 ლკს

## ჰოლანდია

**II დივიზიონი**

ვალვაიკი 1:1 ვენლო
ექსელსიორი 1:0 როზენდალი
მაასტრიხტი 1:1 იგლსი
ომნივოლდი 0:1 ჰელმონდი
კამბური 0:3 დენ ბოსხი
ოსი 2:1 ემენი
ეინდჰოვენი 3:3 აპელდორნი
ზვოლე 3:0 ტელსტარი

## ავსტრია

**ცენტრი**

ვოიტსბერგი 4:0 ჰარტბერგი
კერნტენი 2:1 სპიტალი
უელსი 3:3 კლაგენფურტი
ვეიცი 0:2 ვეიტი
ალერჰეილიგენი 1:1 გრაცერი
ბად აუზე 1:1 ბლაუ
ფელდკირხენი 2:2 სტ ანდრა
ფლორაინი 2:4 შტურმი (მ)

**აღმოსავლეთი**

ნეუსიედლი 1:0 სტეგერსბახი
მატერსბურგი (მ) 5:2 ოსტბანი
ვიენა 3:1 ვინერი
ამსტეტენი 2:2 ჰორნი

**დასავლეთი**

კუფშტეინი 2:1 ბრეგენცი
ზეეკირხენი 3:0 ჰალი

## ინგლისი

**I ლიგა**

ჰერეფორდი 1:1 სუინდონი

## ამხანაგური მატჩები

გლადბახი 2:2 შარლერუა
ჰესენი 1:3 დორტმუნდი
ოსნაბრიუკი 0:2 ტვენტე
ვესტერლო 2:1 ტილბურგი

## ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**ახალგაზრდულები**

ბულგარეთი 2:0 ირლანდია
ფინეთი 2:1 დანია
საფრანგეთი 5:0 მალტა
ყაზახეთი 1:2 ესპანეთი
ხორვატია 4:0 ალბანეთი
ჰოლანდია 1:1 ნორვეგია
გერმანია 3:0 ჩრდ. ირლანდია
ლუქსემბურგი 0:5 ისრაელი
ავსტრია 1:0 ისლანდია
სან მარინო 0:1 ლატვია
სლოვაკეთი 1:1 ბელგია
ინგლისი 2:0 პორტუგალია
იტალია 1:1 საბერძნეთი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge